F-171
1975

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა
# კ რ ე ბ უ ლ ი

**9**

# С Б О Р Н И К
## ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ
МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ ი

თბილისი 1975

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წლის 12 ივნისის ბრძანება № 460

## 1974 წელს სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის შედეგებისა და 1975 წელს გასაწვევი ასაკის მოქალაქეთა გაწვევის ჩატარების შესახებ

აღვნიშნავ, რომ რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებმა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარეს 1974 წელს წვევამდელი და გასაწვევი ასაკის მოქალაქეთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდისა და ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის დონის ასამაღლებლად.

რესპუბლიკის ბევრ სკოლაში მოეწყო საბრძოლო და რევოლუციური დიდების მუზეუმები, გამოფენები, კუთხეები; მოეწყო ახალგაზრდობის შეხვედრები სამამულო ომის ვეტერანებთან, ბრძოლისა და შრომის გმირებთან.

განათლების სამინისტრომ და სახალხო განათლების ორგანოებმა მთელი რიგი ღონისძიებანი გაატარეს ახალგაზრდობის საერთო წიგნიერების ასამაღლებლად, რუსული ენის შესწავლისა და სამხედრო სამსახურისათვის მოსამზადებლად.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, არის ნაკლოვანებანი, რაც ერთგვარად აფერხებს საქმის წარმატებას:

განათლების სამინისტროს მიერ გატარებული მრავალი ღონისძიების მიუხედავად, არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული წვევამდელი ახალგაზრდების რუსული ენის სწავლების საქმე ქ. ჭიათურაში, ყაზბეგის, ამბროლაურის, ლანჩხუთის, ხობის, თეთრიწყაროს, თერჯოლის, ბოლნისის, საჩხერის, ჩხოროწყუს, ახალქალაქისა და სხვ. რაიონებში.

1974 წელს არმიაში გაწვეული ახალგაზრდების დიდი ნაწილი ძალზე სუსტად ან სრულიად ვერ ფლობს რუსულ ენას



კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკ.
ბიბლიო...

რესპუბლიკის მთელ რიგ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ჯერ კიდევ სათანადო დონეზე არ დგას სამხედრო-პატრიოტული აღზრდა. ბევრგან დღემდე არაა მოწყობილი საბრძოლო და რევოლუციური დიდების მუზეუმები, გამოფენები, კუთხეები და სხვ. ზოგიერთი სკოლის პედაგოგიური კოლექტივი არ ეწევა სათანადო მუშაობას მე-8-10 კლასების მოსწავლეებთან სამხედრო სპეციალობებით მათი დაინტერესების მიზნით. რესპუბლიკიდან საბჭოთა არმიის რიგებში გაწვეულ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთაგან მხოლოდ 93 არის მშთ ნიშნოსანი; არმიაში გაწვეულთა უმრავლესობა დაუფლებული არაა სპორტის სამხედრო-გამოყენებით სახეებს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) მიიღონ ქმედითი ზომები წვევამდელთა საერთო წიგნიერების ასამაღლებლად და სამხედრო სასწავლებლებში შემსვლელ კანდიდატთა მომზადების გასაუმჯობესებლად;

ბ) დასახონ ქმედითი ღონისძიებანი რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში რუსული ენის სწავლების დონის ასამაღლებლად, წვევამდელი ასაკის მოქალაქეთა მიერ ამ საგნის სრულყოფილად დასაუფლებლად. ამ მიზნით, უფრო აქტიურად გამოიყენონ წვევამდელ ახალგაზრდებთან რუსული ენის მასწავლებელთა ინდივიდუალური მუშაობა;

გ) დააწესონ კონტროლი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1973 წლის 10 ივლისის დადგენილების—„რესპუბლიკის სასწავლო დაწესებულებებში რუსული ენის სწავლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" განუხრელად შესრულების მიზნით;

დ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა დაწყებით სამხედრო მომზადებასა და სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას. ამ ღონისძიებათა განხორციელების საქმეში აქტიურად ჩააბან სკოლის ყველა მასწავლებელი, კლასის ხელმძღვანელი, პიონერხელმძღვანელი და სამხედრო ხელმძღვანელი;

სკოლებთან მოაწყონ საბრძოლო და რევოლუციური დიდების მუზეუმები, საბჭოთა ხალხის საბრძოლო, რევოლუციური და შრომითი საქმიანობის ამსახველი სტენდები, გამოფენები;

ვ) გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი მოსწავლეთა დაწყებით სამხედრო მომზადებასა და პატრიოტულ აღზრდაზე, რისთვისაც ადგილობრივი სამხედრო კომისარიატების, სამოქალაქო თავდაცვის შტაბების, დოსააფის კომიტეტებისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების წარმომადგენლთაგან შექმნან კომპლექსური შემოწმების კომისიები, რომლებიც, სასწავლო წლის განმავლობაში, როგორც წესი, 1-2 ჯერ ყოველმხრივ და ღრმად შეისწავლიან თითოეულ საშუალო სკოლაში ამ საგნის სწავლების მდგომარეობას;

ზ) მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით მუშაობისას გაითვალისწინონ სამხედრო სპეციალობები, რათა ვაჟების გარკვეულმა ნაწილმა, რვაწლიანი და საშუალო სკოლების დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძოს უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში, აგრეთვე საბჭოთა კავშირის გმირის კ. ნ. ლესელიძის სახელობის სპეციალიზებულ საშუალო სკოლა-ინტერნატში.

2. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილმა) უზრუნველყოს სამხედრო ხელმძღვანელთა ერთთვიანი შეკრებისა და კვალიფიკაციის ამაღლების კურსების მაღალ სამხედრო-პედაგოგიურ დონეზე ჩატარება.

3. დაწყებითი სამხედრო მომზადების განყოფილებამ (ამხ. ა. ორახელაშვილმა):

ა) რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატის შესაბამის განყოფილებებთან ერთად გეგმაზომიერად ჩაატაროს დაწყებითი სამხედრო მომზადებისა და სამხედრო-პატრიოტული აღზრდის მდგომარეობის შემოწმება რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში და შედეგები მოახსენოს კოლეგიას;

ბ) მოამზადოს საკითხი 1975 წლის ოქტომბერში ქ. თბილისში დაწყებითი სამხედრო მომზადებისა და სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საკითხებზე რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ჩატარების შესახებ;

გ) მეთოდიკისა და სახელმძღვანელოების სამმართველოსთან (ამხ. ლ. მნათობიშვილთან) ერთად შეიმუშაოს სასკოლო ქართულ-რუსული ლექსიკონისა და სამხედრო ტერმინოლოგიის ლექსიკონის მომზადებისა და გამოცემის ღონისძიებანი.

4. საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი სკოლების სამმართველომ (ამხ. გ. გუჯეჯიანმა):

ა) 1975 წლის ბოლომდე რესპუბლიკის იმ რაიონებში, რომლებიც ბრძანებაშია აღნიშნული, შეისწავლოს წვევამდელი და გასაწვევი ასაკის მოქალაქეთა სწავლების მდგომარეობა და საკითხი გამოიტანოს კოლეგიაზე განსახილველად;

ბ) 1975 წლის 1 აგვისტომდე, რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატის შესაბამის განყოფილებასთან ერთად, შეაჯამოს წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდების ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის დონის ამაღლებისა და რუსული ენის შესწავლის მდგომარეობა, გაატაროს ქმედითი ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

5. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებამ (ამხ. რ. აიწურაძემ) ორი თვის ვადაში მოამზადოს საკითხი წვევამდელ მოსწავლეებთან „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის" კომპლექსის ნორმების ჩაბარების, საერთო ფიზიკური მომზადების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

6. აღინიშნოს ქ. ჭიათურის, ყაზბეგის, ამბროლაურის, ლანჩხუთის, ხობის, თეთრიწყაროს, თერჯოლის, ბოლნისის, საჩხერის, ჩხოროწყუს, ახალქალაქის განათლების განყოფილებების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა წვევამდელ ახალგაზრდებთან.

7. სკოლების, საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი სკოლების სამმართველოებმა (ამხ. რ. კანდელაკმა, გ. გუჯეჯიანმა), დაწყებითი სამხედრო მომზადების განყოფილებამ (ამხ. ა. ორახელაშვილმა), ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებამ (ამხ. რ. აიწურაძემ) დააწესონ კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1975 წლის 12 ივნისის დადგენილება.

მ ი ნ ი ს ტ რ ი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წლის 23 ივნისის ბრძანება № 471

**სოფლის სკოლის მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 ივლისის № 471 დადგენილების შესასრულებლად ლაგოდეხის რაიონში გაწეული მუშაობის შესახებ**

სოფლის სკოლის მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 ივლისის დადგენილების, ამავე საკითხზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 4 სექტემბრის დადგენილებისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წლის 5 ნოემბრის № 787 ბრძანების შესასრულებლად გარკვეული მუშაობა იქნა გაწეული ლაგოდეხის რაიონის განათლების განყოფილებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მიერ. გატარდა ღონისძიებები სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცებისა და კაბინეტ-ლაბორატორიების უკეთ მოწყობის მიზნით. ამ საქმეში აქტიურად იქნენ ჩაბმული კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, წარმოება-დაწესებულებები და სასოფლო საბჭოების აღმასკომები.

1974 წელს ქ. ლაგოდეხისა და სოფელ ულიანოვკის კოლმეურნეობებმა საბავშვო ბაღებისათვის გადასცეს კეთილმოწყობილი ბინები 100 ბავშვის ადგილით; ქ. ლაგოდეხის კოლმეურნეობამ ააშენა და 1975 წელს საექსპლოატაციოდ გადასცა საბავშვო ბაღის შენობა 120 ბავშვის ადგილით, ასევე, სოფელ ჭაბუკიანის კოლმეურნეობამ ააშენა ბაგა-ბაღის შენობა 50 ბავშვის ადგილით. საავტომობილო გზების სამინისტროს ნებართვით კაბალის სასოფლო საბჭოს ბალანსიდან

ბალანსზე გადაეცა გზის ოსტატის სახლი, რომელიც გამოყენებული იქნება მასწავლებელთა საცხოვრებლად.

1974 წელს კაპდაბანდების სახსრებით აგებულ იქნა ქ. ლაგოდეხის № 3 საშუალო და თამარიანის რვაწლიანი სკოლები 660 მოსწავლის ადგილით. თერეთისკარის სასკოლო ინტერნატი—40 მოსწავლისათვის, დასასრულს უახლოვდება ყარსუბნისა და კაბალის საშუალო სკოლების მშენებლობა 1500 მოსწავლის ადგილით.

1974 წელს ცენტრალიზებული და კოლმეურნეობების მიერ გამოყოფილი თანხებით შეძენილ იქნა 18 ათასი მანეთის სასწავლო თვალსაჩინოება და ინვენტარი, რამაც მნიშვნელოვნად განამტკიცა სკოლების სასწავლო ბაზა. ამავე მიზნით, 1975 წელს ცოდნისკარის, ვარდისუბნის, ყარსუბნის, ბაისუბნის და ნინიგორის კოლმეურნეობებმა სკოლებისათვის გამოყვეს 18 ათასი მანეთი. მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში უკვე შემოზიდულია 66 ათასი მანეთის სასკოლო ინვენტარი.

გარკვეული მუშაობა იქნა გაწეული სკოლების კეთილმოწყობის, სკოლიდან დიდი მანძილით დაშორებული მოსწავლეების უფასო გადაყვანის, საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების, საყოველთაო-საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების, მოსწავლეთა შრომითი აღზრდის გაუმჯობესებისა და სხვა ღონისძიებათა გასატარებლად. მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისისათვის რაიონის სკოლებმა შეასრულეს მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა.

ბევრ სოფელში მოგვარებულია ტრანსპორტით მოსწავლეთა რეგულარული უფასო მიყვანა სკოლაში და შინ დაბრუნება. ამ მიზნით სოფელ ნინიგორის კოლმეურნეობას მიეყიდა სამგზავრო ავტობუსი.

გატარ.და ღონისძიებები სოფლის სკოლების მოსწავლეთა შრომითი სწავლების გასაუმჯობესებლად. ერთ სკოლაში შემოღებულია ავტოსაქმის სწავლება, 6 სკოლაში კი IX და X კლასების მოსწავლეები სწავლობენ ტრაქტორებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე მუშაობას. უახლოეს წლებში გათვალისწინებულია ასეთი სკოლების რიცხვის კიდევ უფრო გაზრდა. გაუმჯობესდა მოსწავლეთა შრომითი აღზრდა, 1974 წლის ზაფხულში მოსწავლეთა 76-მა ბრიგადამ წარმატებით იშრომა საკოლმეურნეო მინდვრებსა და მშენებლობებზე, შეასრულა 8 ათასი მანეთის სამუშაოები.

მეტი ყურადღება მიექცა სოფლად მომუშავე მასწავლებლების კომუნალურ მომსახურებას. სასოფლო საბჭოები მთლიანად უხდიან მეპატრონეებს მასწავლებელთა მიერ დაქირავებული ბინის ქირას. სამეურნეო მოწყობისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის მასწავლებლებს ეძლევათ კრედიტი შეღავათიან პირობებში.

ამასთან, ლაგოდეხის რაიონში ჯერ კიდევ შეინიშნება სერიოზული ნაკლოვანებები სოფლის სკოლის შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილების შესრულების საქმეში.

სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში საკმარისად არ ინერგება სწავლების აქტიური მეთოდები და ტექნიკური საშუალებები, სრულად არ არის გამოყენებული ყველა შესაძლებლობა მოსწავლეთა მაღალი აკადემიური წარმატების მიღწევისა და შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულების დასანერგავად. ბევრ სკოლაში მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება დაბალია და იგი არ შეესაბამება სადღეისო მოთხოვნებს. მიმდინარე სასწავლო წლის მესამე მეოთხედში რაიონის სკოლებში მოსწრება 94%-ზე ნაკლები იყო.

ჯერ კიდევ დიდია იმ სკოლების რიცხვი, რომლებიც ორ ცვლაში მუშაობენ. მეორე ცვლაში მეცადინეობს 3548 მოსწავლე (142 კლასი) ანუ მთლიანი კონტინგენტის 28%, ბოლოკიანის, ბებურიანისა და ხეჩელის დაწყებითი სკოლები უვარგის შენობებშია, საკლასო ოთახების დიდ ნაკლებობას განიცდიან ფონის, ორჯონიკიძის, ცოდნისკარის საშუალო და თელის რვაწლიანი სკოლები. მიუხედავად ამისა, 1974 და 1975 წლებში სასკოლო საინიციატივო მშენებლობა დაგეგმილი არ ყოფილა.

მთლიან კომუნალურ მომსახურებას ვერ ღებულობს 750 მასწავლებელი. ჯერ კიდევ არ სრულდება მთავრობის დადგენილება იმის შესახებ, რომ სოფლის მასწავლებელს ნატურით ეწეოდეს კომუნალური მომსახურება.

რაიონის 13 საშუალო სკოლას არა აქვს სათანადოდ კეთილმოწყობილი სასწავლო სახელოსნო, 5 საშუალო და 14 რვაწლიან სკოლას არა აქვს სპორტული დარბაზი. ნელი ტემპით მიმდინარეობს სასწავლო კაბინეტების მოწყობისა და თვალსაჩინოებით აღჭურვის დასახული გეგმა; ფიზიკის კაბინეტი არა აქვს 2 საშუალო და 6 რვაწლიან სკოლას, ქიმიისა-3 საშუალო და 11 რვაწლიან სკოლას და ა. შ. კაბინეტების მოწყობისა და სწავლებაში გამოყენების მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა რვაწლიან სკოლებში.

დანიშნულებისამებრ არ იყენებენ სკოლების სასწავლო-საცდელ ნაკვეთებს; ცდა-დაკვირვებები ეპიზოდურ ხასიათს ატარებს. სასწავლო კაბინეტები, სახელოსნოები და საცდელი მიწის ნაკვეთები, საკოლმეურნეო მინდვრები და საწარმოები ნაკლებად არის გამოყენებული მოსწავლეთა შორის პროფორიენტაციული მუშაობის გასაშლელად.

ყველა სოფელში მოგვარებული არ არის ბავშვთა უფასო მიყვანა ტრანსპორტით სკოლაში და შინ. ხეჩილიდან, ნაენდროვალიდან, ფიჩხიგორიდან, უზუნთალიდან, თელიდან და მსახგორიდან მოსწავლეები ფეხით დადიან დიდ მანძილზე დაშორებულ რვაწლიან და საშუალო სკოლებში.

მთლიანად არ არის გატარებული რაიონში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონი და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლა. გასულ სასწავლო წელს სკოლებიდან გავიდა 319 მოსწავლე, აქედან ავადმყოფობით და სხვადასხვა მიზეზით სკოლა დატოვა 17-მა, ხოლო ორი ბავშვი სკოლას ჩამოშორდა სკოლის სიშორის გამო. ბევრი მოსწავლე თავის დროზე ვერ ამთავრებს რვა კლასს; ვერ შესრულდა მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში.

სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილების შესრულების საქმეში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

ლაგოდეხის რაიონის განათლების განყოფილებამ (ამხ. შ. ჯინჭარაძემ):

1. მიიღოს ზომები რაიონის სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცებისა და სკოლებში მეორეცვლიანობის შემცირების უზრუნველსაყოფად, რისთვისაც რაიონის ხელმძღვანელი პარტიული და სახელმწიფო ორგანოების მხარდაჭერითა და სამეურნეო ორგანიზაციების მონაწილეობით ფართოდ გაშალოს საინიციატივო მშენებლობა.

2. უზრუნველყოს სასწავლო კაბინეტებისა და სახელოსნოების მოწყობის დასახული გეგმის შესრულება და მათი აღჭურვა თვალსაჩინოების აუცილებელი მინიმუმით. სისტემატური კონტროლისა და

დახმარების გზით მიაღწიოს სკოლების სასწავლო-საცდელი ნაკვეთების მიზნობრივად გამოყენებას.

3. გადამჭრელი ზომები მიიღოს სკოლიდან დიდი მანძილით მცხოვრები მოსწავლეების ტრანსპორტით გადასაყვანად სკოლაში და შინ დასაბრუნებლად. საკითხი, საჭიროების შემთხვევაში, დააყენოს რაიონის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების წინაშე.

4. უზრუნველყოს რაიონში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარება და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრება ახალი სასწავლო წლისათვის, ამ მიზნით, მიაღწიოს იმას, რომ ყველა სოფელში და დასახლებულ პუნქტში ზუსტად სრულდებოდეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 5 სექტემბრის № 474 დადგენილებით, აგრეთვე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის № 106 და სხვა ბრძანებებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

5. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს უფროსი კლასების მოსწავლეთა შრომით საქმიანობას ზაფხულის პერიოდში, გაატაროს ღონისძიებები, რათა სკოლებმა ორგანიზებულად მოაწყონ საწარმოო ბრიგადების შრომა და მიზანსწრაფული გახადონ მათი საქმიანობა.

6. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 4 სექტემბრის № 567 დადგენილებისა და ამ ბრძანების შესრულების შესახებ დაწვრილებითი მოხსენებითი ბარათი წარმოადგინოს განათლების სამინისტროში 1975 წლის იანვარში.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1975 წლის 12 ივნისის დადგენილება.

მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წლის 2 ივლისის ბრძანება № 498

### იმ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სიის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც უფროსკლასელ მოსწავლეთაგან უნდა მომზადდნენ ავტომობილის მძღოლები

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უფროსკლასელ (IX-X) მოსწავლეთათვის ავტოსაქმის დაუფლებაში ხელის შეწყობის მიზნით, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969-1970, 1970-1971, 1971-1972 სასწავლო წლებში ავტომობილის მძღოლების მომზადება შემოღებულია რესპუბლიკის 60 საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. უფროსკლასელ (IX-X) მოსწავლეთაგან ავტომობილის მძღოლების მოსამზადებლად დამტკიცდეს: აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკის ქ. სოხუმის მე-10, ძე-14, მე-19, გალის მე-3, გუდაუთის 1-ლი; აჭარის ასს რესპუბლიკის ქ. ბათუმის მე-2, მე-20, ქობულეთის რაიონის ოჩხამურის; სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ქ. ცხინვალის მე-3, მე-9; ქ. თბილისის I-ლი, მე-15, 55-ე, 66-ე, 72-ე, 77-ე, 132-ე, 134-ე; ქუთაისის მე-2, მე-4, 23-ე, ქ. რუსთავის მე-11, მე-15, ქ. ფოთის მე-3, ქ.ჭიათურის ზოდის, ქ. ტყიბულის მე-3, ქ. გორის I-ლი, ქ. ზუგდიდის მე-4, აბაშის მე-2, ადიგენის რაიონის უდეს, ამბროლაურის რაიონის ჭრებალოს, ასპინძის, ახალციხის მე-3, ახალქალაქის 1-ლი, ბორჯომის 1-ლი, გეგეჭკორის 1-ლი, გორის რაიონის კარალეთის, გურჯაანის რაიონის სოფ. გურჯაანის,

დუშეთის 1-ლი, ზესტაფონის მე-3, ზუგდიდის რაიონის დარჩელის, კასპის მე-2, ყვარლის 1-ლი, ლაგოდეხის რუსული, ლანჩხუთის რაიონის ნიგოითის, მარნეულის რუსული, მახარაძის მე-2, მაიაკოვსკის რაიონის დიმის 1-ლი, მცხეთის, ონის მე-2, ორჯონიკიძის რაიონის კიცხის, სამტრედიის მე-3, საჩხერის რაიონის ჭალის, თელავის რაიონის წინანდლის, თეთრიწყაროს რაიონის მანგლისის ქართული, ხაშურის მე-3, წულუკიძის მე-3, ცხაკაიას 1-ლი წყალტუბოს რაიონის ქვიტირისა ჩოხატაურის 1-ლი საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები.

2. ამ ბრძანებით დამტკიცებული სკოლების სიაში რაიმე ცვლილების შეტანის საჭიროების შემთხვევაში საკითხი უნდა დაისვას საქართველოს სსრ განთლების სამინისტროს წინაშე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1975 წლის 23 ივნისის დადგენილება.

მ ი ნ ი ს ტ რ ი      თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წლის 2 ივლისის ბრძანება № 503

### 1975 წლის ზაფხულის პერიოდში მუშებისა და მოსამსახურეების შვილების დასვენების ორგანიზაციის შესახებ

1975 წელს მუშებისა და მოსამსახურეების შვილების საზაფხულო დასვენების ორგანიზაციის თაობაზე დადგენილების შესასრულებლად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის ხაზით 1975 წლის ზაფხულში დასასვენებელი კონტინგენტი განისაზღვროს 149544 ბავშვით, მათ შორის:

ა) გაყვანილ იქნეს საგარაკოდ 7290 სკოლამდელი, ხოლო ადგილზე გაძლიერებულ კვებაზე გადაყვანილი-40346 სკოლამდელი, სულ-47636 (დანართი № 1);

ბ) გაყვანილ იქნეს საგარაკოდ 2518, ხოლო ადგილზე გაძლიერებულ კვებაზე გადაყვანილ იქნეს სკოლა-ინტერნატების, სპეციალური სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების 2650 აღსაზრდელი, სულ 5168 (დანართი № 2);

გ) გამაჯანსაღებელ და საექსკურსიო-ტურისტულ ლონისძიებებში ჩაბმულ იქნეს 91300 მოსწავლე (დანართი № 4);

დ) სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში ჩაბმულ იქნეს 3780 მოსწავლე (დანართი № 3);

ე) ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის ბაზაზე მოეწყოს საზაფხულო-გამაჯანსაღებელი ბანაკი რესპუბლიკის 200 მოწინავე ნორჩი ნატურალისტისათვის;

ვ) ბორის ძნელაძის სახ. რესპუბლიკურ პიონერთა სასახლეში გაერთიანებული მოწინავე წრის წევრებისათვის მოეწყოს საზაფხულო გამაჯანსაღებელი ბანაკები დუშეთში 440 და ყაზბეგში 320 მოსწავლისათვის;

ზ) ბავშვთა მხატვრული აღზრდის სახლში გაერთიანებული 400 მოსწავლისათვის მოეწყოს საზაფხულო-გამაჯანსაღებელი ბანაკი ტაშისკარში.

2. 1975 წლის ზაფხულის პერიოდში პიონერთა ბანაკების მოსაწყობად პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოს გადაეცეს სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების შენობები (დანართი № 5); პიონერთა ბანაკებს მიეცეთ საშუალება, ისარგებლონ აღნიშნული სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების მაგარი ინვენტარითა და ლოგინებით თეთრეულის გარეშე.

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა, საქართველოს ალკკ შესაბამის კომიტეტებთან ერთად:

ა) უზრუნველყონ პიონერთა საქალაქო ბანაკებისა და მოედნების მოწყობა;

ბ) დააკომპლექტონ პიონერთა ბანაკები და მოედნები პედაგოგებით, რომლებსაც შეუძლიათ უხელმძღვანელონ მხატვრული, ტექნიკური და ნატურალისტთა წრეების მუშაობას;

გ პერიოდულად შეამოწმონ მათ ტერიტორიაზე განლაგებული საზაფხულო-გამაჯანსაღებელი დაწესებულებების მუშაობა და უზრუნველყონ ზაფხულის პერიოდში ბავშვების გართობა-დასვენების სწორი ორგანიზაცია:

დ) სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვისა და სსრ კავშირის განათლების სამინისტროების 1975 წლის 5/VI-№ 543/78 ბრძანების შესასრულებლად, ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად, გამაჯანსაღებელ ღონისძიებებზე გადასული სკოლამდელი დაწესებულებები უზრუნველყონ სამედიცინო პერსონალით, მიიღონ გადამჭრელი ზომები სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაავადების შემცირების, კვების ხარისხის გაუმჯობესების, პედაგოგიური და გამაკაჟებელი ღონისძიებების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის;

ე) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ და კონტროლი დააწესონ საკარაკოდ შერჩეულ ბინებში ხანძარსაწინააღმდეგო და სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვაზე, ტყიან ადგილებში ლაშქრობების, ექსკურსიებისა და პიონერული კოცონების დროს საჭირო ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებაზე;

ვ) ზღვისა და მდინარეების პირას განლაგებული გამაჯანსაღებელი დაწესებულებების ხელმძღვანელთა ყურადღება გაამახვილონ უბედური შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით საჭირო უსაფრთხოების წესების დაცვაზე;

4. ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურმა სასახლემ (ამხ. ზ. ლომიძემ):

ა) აქტიური მონაწილეობა მიიღოს პიონერთა ბანაკებისა და მოედნების პედაგოგებისა და პიონერხელმძღვანელთათვის სემინარების ჩატარების საქმეში;

ბ) ორგანიზებულად წარმართოს დუშეთში უფროსკლასელთა საზაფხულო-გამაჯანსაღებელი ბანაკის მუშაობა, ხოლო ქალაქად დარჩენილი ბავშვებისათვის მოაწყოს გამოჩენილ ადამიანებთან შეხვედრები, ექსკურსიები, კოლექტიური სვლა კინოთეატრებსა და მუზეუმებში.

5. ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკურმა სადგურმა (ამხ. გ. თავაძემ):

ა) უზრუნველყოს პიონერთა ბანაკები საწრეო მუშაობის პროგრამებით, მეთოდური მითითებებით და სხვა მასალებით;

ბ) ორგანიზებულად და საინტერესოდ წარმართოს მოწინავე ნორჩი ნატურალისტებისათვის სადგურის ბაზაზე მოწყობილი გამაჯანსაღებელი ბანაკის მუშაობა.

6. ბავშვთა საექსკურსიო ტურისტულმა ცენტრალურმა სადგურმა (ამხ. ჯ. სამხარაძემ):

ა) განახორციელოს სისტემატური კონტროლი და ხელმძღვანელობა რესპუბლიკაში ზაფხულის პერიოდში საექსკურსიო-ტურისტული მუშაობის მიმდინარეობაზე;

ბ) უზრუნველყოს გვერდისუბნის ჭალაში მოწინავე ნორჩი ტურისტების, მხარეთმცოდნეებისა და ფენოლოგების რესპუბლიკური შეკრების ორგანიზებულად და მაღალ დონეზე ჩატარება.

7. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურმა სადგურმა (ამხ. ზ. ეპიტაშვილმა) უზრუნველყოს პიონერთა ბანაკების ტექნიკური წრეები სათანადო მეთოდური მითითებებითა და პროგრამებით.

8. მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. გ. კბილაშვილმა) შეუფერხებლად მოამარაგოს საზაფხულო გამაჯანსაღებელი დაწესებულებები სათბობით გამოყოფილი ლიმიტის ფარგლებში (200 კბმ. შეშა).

9. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის (ამხ. თ. ჟღენტმა) სკოლების (ამხ. რ. კანდელაკმა), სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების (ამხ. თ. ნიკოლაიშვილმა) სამმართველოებმა, ფიზიკური აღზრდის (ამხ. რ. აიწურაძემ) და სკოლამდელი აღზრდის (ამხ. გ. აბდუშელიშვილმა) განყოფილებებმა კონტროლი დააწესონ ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1975 წლის 12 ივნისის დადგენილება.

მინისტრი — თ. ვ. ლაშქარაშვილი

F-4055



კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკ. ბიბლიოთეკა

# კონტინგენტი

სკოლამდელ დაწესებულებათა იმ აღსაზრდელებისა, რომლებთანაც 1975 წლის 1 ივლისიდან ჩატარდება საზაფხულო-გამაჯანსაღებელი

ღონისძიებები

| №№ | რაიონის (ქალაქის) დასახელება | აგარაკის დასახელება | აგარაკზე გამსვლელ ბავშვთა რაოდენობა | მ. შ. სანატორიული | ადგილზე სამკურნალო მუშაობაზე გადამსვლელ ბავშვთა რაოდენობა | სულ გამაჯანსაღებელ ღონისძიებებზე გადამსვლელ ბავშვთა რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 1. | ქ. თბილისი | მანგლისი | 240 | 110 | | 240 |
| | | მახინჯაური | 240 | | | 240 |
| | | ბორჯომის ხეობა | 995 | 110 | | 995 |
| | | წყნეთი | 50 | | | 50 |
| | | კოჯორი | 125 | | | 125 |
| | | სურამი | 250 | | | 250 |
| | სულ | | 1900 | 220 | 2100 | 4000 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
|---|---|---|---|---|---|---|
| 2. | ქ. ქუთაისი | მახინჯაური | 225 | | | 225 |
| | | წალვერი | 75 | | | 75 |
| | | სადგერი (ბორჯომის რ.) | 75 | | | 75 |
| | | ქობულეთი | 270 | | | 270 |
| | სულ | | 645 | | 1225 | 1870 |
| 3. | ქ. ფოთი | წალვერი | 200 | | 200 | 400 |
| 4. | ქ. ჭიათურა | ჩხირ: ული (ჭიათურის რ.) | 260 | | 110 | 380 |
| 5. | ქ. რუსთავი | კოჯორი | 150 | | | 150 |
| | | ქობულეთი | 200 | | | 200 |
| | სულ | | 350 | | 1050 | 1400 |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
|---|---|---|---|---|---|---|
| 7. | ქ. გორი | | | | 950 | 950 |
| 8. | ქ. ტყიბული | | | | 200 | 200 |
| 9. | ქ. ზუგდიდი | მუხური (ჩხოროწყუს რ.) | 255 | | 500 | 755 |
| 10. | აბაშის რ-ნი | სურამი | 100 | | 633 | 733 |
| 11. | ადიგენის რ. | | | | 390 | 390 |
| 12. | ასპინძის რ. | | | | 430 | 430 |
| 13. | ამბროლაურის რ. | | | | 250 | 250 |
| 14. | ახალციხის რ. | | | | 640 | 640 |
| 15. | ახალქალაქის რ. | | | | 150 | 150 |
| 16. | ახმეტის რ. | თიანეთი | 50 | | 675 | 725 |
| 17. | ბოგდანოვკის რ. | | | | 250 | 250 |
| 18. | ბოლნისის რ. | | | | 200 | 200 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
|---|---|---|---|---|---|---|
| 19. | ბორჯომის რ. | | | | 45 | 450 |
| 20. | ვანის რ. | ქობულეთი | 100 | | 500 | 600 |
| 21. | გარდაბნის რ. | წავკისი | 70 | | | 70 |
| | | (გარდაბნის რაიონი) | | | | |
| | | კოჯორი | 75 | | | 75 |
| | ს უ ლ | | 145 | | 645 | 790 |
| 22 | გეგეჭკორის რ. | ლებარდე | 50 | | 450 | 500 |
| 23. | გორის რ. | (გეგეჭკორის რაიონი) | | | 860 | 860 |
| 24. | გურჯაანის რ. | | | | 600 | 600 |
| 25. | დმანისის რ. | | | | 220 | 220 |
| 26. | დუშეთის რ. | | | | 390 | 390 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
|---|---|---|---|---|---|---|
| 27. | ზესტაფონის რ. | სურამი | 150 | | 750 | 900 |
| 28. | ზუგდიდის რ. | მუხური (ჩხოროწყუს რ.) | 75 | | | 75 |
| | | კინდღი (აფხაზეთის ასსრ) | 25 | | | 25 |
| | ს უ ლ | | 100 | | 425 | 525 |
| 29. | ყაზბეგის რ. | | | | 307 | 307 |
| 30. | ქარელის რ. | სურამი | 150 | | 565 | 715 |
| 31. | ყვარლის რ. | ფიქალები (ყვარლის რ.) | 150 | | 915 | 1065 |
| 32. | კასპის რ. | | | | 700 | 700 |
| 33. | ლანჩხუთის რ. | | | | 400 | 400 |
| 34. | ლაგოდეხის რ. | | | | 960 | 960 |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
|---|---|---|---|---|---|---|
| 35. | ლენტეხის რ. | | | | 400 | 400 |
| 36. | მარნეულის რ. | | | | 325 | 325 |
| 37. | მახარაძის რ. | | | | 550 | 550 |
| 38. | მაიაკოვსკის რ. | | | | 531 | 531 |
| 39. | მესტიის რ. | | | | 600 | 600 |
| 40. | მცხეთის რ. | ბორჯომის ხეობა | 115 | | 1035 | 1150 |
| 41. | ონის რაიონი | შოვი | 50 | | 275 | 325 |
| 42. | ორჯონიკიძის რ. | | | | 275 | 275 |
| 43. | საგარეჯოს რ. | ციცკოდა | 50 | | | 50 |
| | | გომბორი | 80 | | | 80 |
| | | უჯარმა | 50 | | | 50 |
| | | კოჭბაანი | 25 | | | 25 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | ნინოწმინდა | 40 | | | 40 |
| | | კაკაბეთი | 35 | | | 35 |
| | სულ | | 280 | | 175 | 455 |
| 44. | სამტრედიის რ. | სურამი | 175 | | 350 | 525 |
| 45. | საჩხერის რ. | | | | 100 | 100 |
| 46. | სიღნაღის რ. | | | | 200 | 200 |
| 47. | თელავის რ. | | | | 1610 | 1610 |
| 48. | თერჯოლის რ. | | | | 325 | 325 |
| 49. | თეთრიწყაროს რ. | | | | 300 | 300 |
| 50. | თიანეთის რ. | | | | 350 | 350 |
| 51. | ხობის რ. | სურამი | 100 | | 415 | 515 |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
|---|---|---|---|---|---|---|
| 52. | ხაშურის რ. | | | | 275 | 275 |
| 53. | წითელწყაროს რ. | სურამი | 30 | | 765 | 795 |
| 54. | წალენჯიხის რ. | მუხური (ჩხოროწყუს რ.) | 50 | | | 50 |
| | | სქური (წალენჯიხის რ.) | 50 | | | 50 |
| | ს უ ლ | | 100 | | 930 | 1030 |
| 55. | ცაგერის რ. | ლაილაში (ცაგერის რ.) | 40 | | 165 | 205 |
| 56. | წალკის რ. | | | | 590 | 590 |
| 57. | წულუკიძის რ. | ქობულეთი | 135 | | | 135 |
| | | გორდი (წულუკიძის რ.) | 75 | | | 75 |
| | ს უ ლ | | 210 | | 305 | 515 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
|---|---|---|---|---|---|---|
| 58. | წყალტუბოს რ. | | | | 600 | 600 |
| 59. | ცხაკაიას რ. | სურამი | 150 | | | 150 |
| | | ქობულეთი | 60 | | | 60 |
| | | ბორჯომი | 130 | | | 130 |
| | ს უ ლ | | 340 | | 100 | 440 |
| 60. | ჩოხატაურის რ. | | | | 215 | 215 |
| 61. | ჩხოროწყუს რ. | მუხური (ჩხოროწყუს რ.) | 75 | | | 75 |
| | | ლებარდე (გეგეჭკორის რ.) | 175 | | | 175 |
| | ს უ ლ | | 250 | | 515 | 765 |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 7 | 8 |
|---|---|---|---|---|---|---|
| | აფხაზეთის ასსრ | | | | 6000 | 6000 |
| | აჭარის ასსრ | | | | | |
| | ქ. ბათუმი | ვაკიჯვარი (მახარაძის რ.) | 200 | | | 200 |
| | | მახინჯაური | 80 | 80 | | 80 |
| | ქობულეთი | ბორჯომი | 50 | | | 50 |
| | ს უ ლ | | 300 | 80 | 2400 | 2730 |
| | სამხრეთ ოსეთის ა/ო | ჯავა | 500 | | 500 | 1000 |
| | მხედველობადაქვეითებულ ბავშვთა ბაგა-ბაღი | ბორჯომი | 80 | | | 80 |
| | სმენადაქვეითებულ ბავშვთა ბაგა-ბაღი | კოჯორი | 85 | | 70 | 155 |
| | სულ რესპუბლიკაში | | 7290 | 300 | 40346 | 47636 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 2

**1975 წლის ზაფხულის გამაჯანსაღებელ ღონისძიებაში ჩასაბმელი სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა კონტინგენტი**

| №№ | დაწესებულების დასახელება | გამაჯანსაღებელი ადგილის დასახელება | საერთო კონტინგენტი | აგარაკზე გასაყვანი კონტინგენტი | ადგილზე გასაჯანსაღებელ აღსაზრდელთა დასახელება |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 1 | მახარაძის სკოლა-ინტერნატი | ბახმარო | 200 | 200 | — |
| 2 | სამტრედიის სპეც. სკოლა-ინტერნატი | -„- | 120 | 120 | — |
| 3 | ჩოხატაურის საბავშვო სახლი | -„- | 100 | 100 | — |
| 4 | კოჯრის სკოლა-ინტერნატი | კოჯორი | 50 | | 50 |
| 5 | თბილისის № 2 საბ. სახლი | -„- | 140 | 100 | 40 |
| 6 | რუსთავის საბავშვო სახლი | -„- | 120 | 120 | |
| 7 | თბილისის 8 წ. სკოლა-ინტერნატი | -„- | 50 | 50 | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
|---|---|---|---|---|---|
| 8 | საგურამოს სკოლა-ინტერნატი | -„- | 40 | 40 | |
| 9 | დუშეთის სკოლა-ინტერნატი | -„- | 50 | 50 | |
| 10 | რუსთავის სკოლა-ინტერნატი | -„- | 40 | 40 | |
| 11 | კაჭრეთის სკოლა-ინტერნატი | -„- | 30 | 30 | |
| 12 | ლაგოდეხის სკოლა-ინტერნატი | -„- | 20 | 20 | |
| 13 | გორდის სკოლა-ინტერნატი | გორდი | 20 | | 20 |
| 14 | ჭიათურის საბავშვო სახლი | -„- | 80 | 80 | |
| 15 | გეგეჭკორის საბავშვო სახლი | -„- | 80 | 80 | |
| 16 | საჩხერის საბავშვო სახლი | -„- | 80 | 80 | |
| 17 | ზუგდიდის საშ. სკოლა-ინტერნატი | -„- | 50 | 50 | |
| 18 | ლანჩხუთის სკოლა-ინტერნატი | -„- | 20 | 20 | |
| 19 | ქუთაისის მუსიკალური სკ. ინტ. | -„- | 30 | 20 | |
| 20 | ბროწეულის სკოლა-ინტერნატი | -„- | 30 | 30 | |
| 21 | ჩხოროწყუს სკოლა-ინტერნატი | -„- | 20 | 20 | |
| 22 | ცხაკაიას სკოლა-ინტერნატი | -„- | 20 | 20 | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
|---|---|---|---|---|---|
| 23 | ბათუმის საბავშვო სახლი | ბეშუმი | 280 | 280 | |
| 24 | ბათუმის სკოლა-ინტერნატი | -„- | 20 | 20 | |
| 25 | ბუნიკაურის სანატ. სკოლა-ინტერნატი | ბუნიკაური | 20 | | 20 |
| 26 | თბილისის № 1 დამხ. სკოლა-ინტერ. | ბუნიკაური | 20 | 20 | |
| 27 | თბილისის № 2 დამხ. სკოლა-ინტერ. | -„- | 30 | 30 | |
| 28 | გუმათის დამხმარე სკოლა-ინტერნატი | -„- | 90 | 50 | 40 |
| 29 | მიუსერას დამხმარე სკოლა-ინტერნატი | -„- | 40 | 40 | |
| 30 | კოხნარის დამხმარე სკოლა-ინტერ. | კოხნარი | 40 | — | 40 |
| 31 | მახინჯაურის საბავშვო სახლი | მახინჯაური | 100 | — | 100 |
| 32 | თბილისის № 1 საბავშვო სახლი | -„- | 30 | 30 | |
| 33 | კარდანახის საბავშვო სახლი | კარდანახი | 60 | — | 60 |
| 34 | ასპინძის საბავშვო სახლი | -„- | 16 | 16 | |
| 35 | სიღნაღის საბავშვო სახლი | -„- | 2 | 2 | |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
|---|---|---|---|---|---|
| 36 | კოჯრის № 1 საბავშვო სახლი | კოჯორში | 120 | 12 | 120 |
| 37 | თბილისის სუსტადმხ. ბავშ. სკოლა-ინტერნ. | -„ | 4 | 4 | |
| 38 | თბილისის სმენადაქვეით. სკოლა-ინტერნ. | -„- | 4 | 4 | |
| 39 | კოჯრის № 2 საბავშვო სახლი | -„- | 130 | — | 130 |
| 40 | კოჯრის № 3 საბავშვო სახლი | -„- № 3 | 100 | | 100 |
| 41 | თბილისის ყრუმუნჯ ბავშვთა სკოლა-ინტერ. | -„- | 30 | 30 | |
| 42 | კოჯრის № 4 საბავშვო სახლი | -„- № 4 | 100 | | 100 |
| 43 | თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერ. | -„- № 4 | 12 | 12 | — |
| 44 | თელავის № 1 საბავშვო სახლი | თელავში | 50 | | |
| 45 | თელავის № 2 საბავშვო სახლი | შუამთაში | 280 | 280 | 50 |
| 46 | ბეთანიის საბავშვო სახლი | ბეთანიაში | 200 | — | 200 |
| 47 | ქურთის საბავშვო სახლი | ჯავაში | 160 | 160 | — |
| 48 | ონის საბავშვო სახლი | საგლოლოში | 100 | 100 | — |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
|---|---|---|---|---|---|
| 49 | ლენტეხის საბავშვო სახლი | მყაშმი | 60 | — | 60 |
| 50 | ლენინგორის საბავშვო სახლი | ლენინგორ. | 60 | — | 60 |
| 51 | ვაშლოვანის საბ. სახლი | ვა შლოვან. | 100 | | 100 |
| 52 | ახალდაბის სკოლა-ინტერნატი | ახალდაბა | 40 | | 40 |
| 53 | პატარა ცემის სატყეო სკოლა | პ/ცემი | 600 | | 600 |
| 54 | ქობულეთის სატყეო სკოლა | ქობულეთი | 500 | | 500 |
| 55 | თბილისის მუსიკალური სკოლა-ინტერნ. | კოჯრის №1 | 40 | 40 | |
| | | | 5168 | 2518 | 2650 |

დანართი № 3

# Ⴉ Ⴍ Ⴌ Ⴒ Ⴈ Ⴌ Ⴂ Ⴄ Ⴌ Ⴒ Ⴈ

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის ბავშვთა-მოზარდთა სპორტული სკოლების მოსწავლეებისა, რომლებიც 1975 წლის ზაფხულში ჩაბმულ იქნებიან გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში**

| №№ | ორგანიზაციის დასახელება | გამაჯანსაღ-ებელი და-წესებულე-ბის ტიპი | ღონისძიე-ბის ჩატა-რების ადგილი | საერთო კონტინ-გენტი | კონტინგენ-ტის განა-წილება ნაკადებზე | მუშაობის დაწყების თარიღი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 1 | № 1 რესპ. სპორტ. სკოლა-ინტ. | სპორტული ბანაკი | ქ. სოხუმი | 200 | 22/1 | 10/VII |
| 2 | № 2 რესპ. სპორტ. სკოლა-ინტ. | -„- | თიანეთი | 500 | 250/2 | 1/VII |
| 3 | თბილისის განათლების განყ. კომპლექსური სპოტსკოლა | -„- | თეთრიწყ. | 360 | 180 | 1/VII |
| 4 | თბილისის განათ. განყ. ფარი-კაობის სკოლა | -„- | ზუგდიდი სალხინო | 480 | 240 | 1/VII |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | თბილისის გან. განყოფილ. ფეხბურთის სპეცსკოლა | სპორტული ბანაკი | ბათუმი | 440 | 220/2 | 15/VII |
| 6 | თბილისის გან. განყოფილების მძლეოსნობის სპეცსკოლა | -"- | ახალციხე | 320 | 160/2 | 25/VII |
| 7 | თბილისის განათ. განყოფილ. ფრენბურთის სპეცსკოლა | -"- | დუშეთი ბარისახო | 440 | 220/2 | 26/VII |
| 8 | თბილისის გახათ. განყოფილ. ცურვის სპეცსკოლა | -"- | ბათუმი | 320 | 160/1 | 1/VII |
| 9 | თბილისის განათ. გა‘ყოფილ. წყალთა სახეების სკოლა | -"- | თიანეთი სიონი | 240 | 120/2 | 7/VII |
| 10 | თბილისის განათლ. განყოფ. კალათბურთის სპეცსკოლა | -"- | ბაკურიანი | 260 | 140/120 | 1/VII |
| 11 | თბილისის განათლ. განყ. ხელბურთის სპეცსკოლა | -"- | ზუგდიდი | 320 | 160/2 | 1/VII |
| | | | | 3780 | 2110 | |

დანართი № 4

# კონტინგენტი

იმ მოსწავლეებისა, რომლებიც გაერთიანებული არიან განსაკუთრებულ დასასვენებლებში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საექსკურსიო-ტურისტულ ბაზებში და მშობლიური მხარის შესწავლის მიზნით ეწყობილ ექსკურსიებსა და ლაშქრობებში. 1975 წელი

| 1 | 2 | შეკრების ადგილი 3 | სულ 4 | ბავშვთა რაოდენობა. მათ შორის ნაკადებად: ივნისი 5 | ივლისი 6 | აგვისტო 7 | შეკრების დღეების რაოდენობა 8 | დაწყების თარიღი 9 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ რესპუბლიკაში მათ შორის | 91300 | 40955 | 3105 | 19340 | | | |
| | 1-ბავშვთა საექსკურსიო-ტური სტული ბაზები | | | | | | | |
| 1 | თბილისის | თბილისი | 1600 | 430 | 740 | 430 | 5 | 10/VI |
| 2 | თელავის | თელავი | 540 | 110 | 270 | 160 | — | » |
| 3 | ქ. ქუთაისის | ქუთაისი | 640 | 110 | 320 | 210 | » | » |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 6 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | გორის | გორი | 540 | 110 | 270 | 160 | „ | „ |
| 5 | ჭიათურის | ჭიათურა | 490 | 110 | 220 | 160 | „ | „ |
| 6 | ფოთის | ფოთი | 540 | 110 | 270 | 160 | „ | „ |
| 7 | ზუგდიდის | ზუგდიდი | 440 | 110 | 220 | 110 | „ | „ |
| 8 | მცხეთის | მცხეთა | 740 | 210 | 370 | 160 | „ | „ |
| 9 | ცხინვალის | ცხინვალი | 440 | 110 | 220 | 110 | „ | „ |
| 10 | ბორჯომის | ბორჯომი | 690 | 160 | 320 | 210 | „ | „ |
| 11 | ბათუმის | ბათუმი | 490 | 115 | 220 | 165 | 5 | 10/VI |
| 12 | სოხუმის | სოხუმი | 540 | 165 | 210 | 165 | „ | „ |
| | | ს უ ლ | 7690 | 1860 | 3640 | 2200 | | |
| | გვერდისუბნის ტურისტული ბანაკი | ბორჯომი | 200 | 100 | 100 | — | 15 | 15VII |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | შაორის ტურისტული ბანაკი | ტყიბული | 140 | — | 140 | — | 15 | 20/VII |
| | ლაგოდეხის ტურის-ტული ბანაკი | ლაგოდეხი | 120 | — | 120 | — | 15 | 20/VII |
| 1 | ქუთაისის | ქუთაისი | 1440 | 610 | 515 | 315 | 5 | 1 |
| 2 | ქ. ფოთის | ფოთი | 540 | 210 | 215 | 115 | „ | „ |
| 3 | ქ. რუსთავის | ქ. რუსთავი | 1540 | 810 | 415 | 315 | „ | „ |
| 4 | ქ. გ ო რ ი ს | ქ. გორი | 1040 | 510 | 315 | 215 | „ | „ |
| 5 | ქ. ჭიათურის | ქ. ჭიათურა | 1300 | 660 | 415 | 225 | „ | „ |
| 6 | ქ. ტყიბულის | ქ. ტყიბული | 1740 | 810 | 515 | 415 | „ | „ |
| 7 | ქ. ზუგდიდის | ქ. ზუგდიდი | 490 | 260 | 115 | 115 | „ | „ |
| 8 | აბაშის რაიონი | აბაშა | 820 | 310 | 295 | 215 | „ | „ |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | ადიგენის | ადიგენი | 620 | 290 | 215 | 115 | " | " |
| 10 | ამბროლაურის | ამბროლ. | 990 | 510 | 315 | 165 | " | " |
| 11 | ასპინძის | ასპინძა | 630 | 260 | 255 | 115 | " | " |
| 12 | ახალქალაქის | ახალქალაქი | 1040 | 510 | 315 | 215 | " | " |
| 13 | ახმეტის | ახმეტა | 810 | 310 | 285 | 215 | 5 | 1VI |
| 14 | ახალციხის | ახალციხე | 1210 | 610 | 415 | 185 | " | " |
| 15 | ბოლნისის | ბოლნისი | 1240 | 610 | 415 | 215 | " | " |
| 16 | ბორჯომის | ბორჯომი | 640 | 310 | 165 | 165 | " | " |
| 17 | ბოგდანოვკის | ბოგდანოვ. | 1140 | 610 | 315 | 215 | " | " |
| 18 | ვ ა ნ ი ს | ვანი | 1040 | 510 | 315 | 215 | " | " |
| 19 | გარდაბნის | გარდაბანი | 1630 | 710 | 615 | 305 | " | " |
| 20 | გეგეჭკორის რ-ნი | გეგეჭკორი | 1440 | 710 | 515 | 215 | " | " |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21 | გორის რ-ნი | გორი | 2040 | 910 | 615 | 515 | " | " |
| 22 | გურჯაანის | გურჯაანი | 780 | 410 | 255 | 115 | " | " |
| 23 | დმანისის | დმანისი | 1440 | 610 | 515 | 315 | " | " |
| 24 | დუშეთის | დუშეთი | 1240 | 610 | 415 | 215 | " | " |
| 25 | ზესტაფონის | ზესტაფონი | 1030 | 510 | 315 | 205 | " | " |
| 26 | ზუგდიდის | ზუგდიდი | 1840 | 810 | 615 | 415 | " | " |
| 27 | ყაზბეგის | ყაზბეგი | 310 | 110 | 115 | 85 | " | " |
| 28 | ქარელის | ქარელი | 1240 | 510 | 415 | 315 | " | " |
| 29 | კასპის | კასპი | 970 | 410 | 315 | 245 | " | " |
| 30 | ყვარლის | ყვარელი | 760 | 310 | 265 | 185 | " | " |
| 31 | ლაგოდეხის | ლაგოდეხი | 970 | 510 | 315 | 145 | " | " |
| 32 | ლანჩხუთის | ლანჩხუთი | 1000 | 510 | 315 | 175 | " | " |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 33 | ლენტეხის | ლენტეხი | 430 | 200 | 115 | 115 | 5 | 1/VI |
| 34 | მარნეულის | მარნეული | 1840 | 1010 | 515 | 515 | " | " |
| 35 | მახარაძის | მახარაძე | 1040 | 610 | 215 | 215 | " | " |
| 36 | მაიაკოვსკის | მაიაკოვსკი | 760 | 410 | 215 | 135 | " | " |
| 37 | მესტიის | მესტია | 790 | 360 | 215 | 215 | " | " |
| 38 | მცხეთის | მცხეთა | 790 | 410 | 265 | 115 | " | " |
| 39 | ონის | ონი | 730 | 260 | 255 | 215 | " | " |
| 40 | ორჯონიკიძის | ორჯონიკ. | 1040 | 410 | 315 | 315 | " | " |
| 41 | სამტრედიის | სამტრედია | 1000 | 510 | 315 | 175 | " | " |
| 42 | საჩხერის | საჩხერე | 1000 | 510 | 315 | 175 | " | " |
| 43 | სიღნაღის | სიღნაღი | 670 | 340 | 215 | 115 | " | " |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 44 | საგარეჯოს | საგარეჯო | 790 | 360 | 265 | 165 | " | " |
| 45 | თელავის | თელავი | 840 | 465 | 260 | 115 | " | " |
| 46 | თერჯოლის | თერჯოლა | 860 | 410 | 335 | 115 | " | " |
| 47 | თეთრიწყაროს | თეთრიწყ. | 1040 | 510 | 315 | 215 | " | " |
| 48 | თიანეთის | თიანეთი | 440 | 110 | 155 | 175 | " | " |
| 49 | ხაშურის | ხაშური | 1030 | 510 | 365 | 155 | " | " |
| 50 | ხობის | ხობი | 1030 | 460 | 315 | 255 | " | " |
| 51 | ცაგერის | ცაგერი | 820 | 410 | 265 | 145 | " | " |
| 52 | წალენჯიხის | წალენჯიხა | 1040 | 610 | 315 | 115 | " | " |
| 53 | წალკის | წალკა | 1240 | 310 | 715 | 215 | " | " |
| 54 | წითელწყაროს | წითელწყ. | 540 | 210 | 215 | 115 | " | " |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | გალის რაიონი | გალი | 1030 | 470 | 345 | 215 | 5 | 1/VI |
| | გულრიფშის | გულრიფში | 1180 | 510 | 415 | 255 | " | " |
| | ოჩამჩირის | ოჩამჩირე | 830 | 410 | 225 | 195 | " | " |
| | გუდაუთის რაიონი | გუდაუთა | 1180 | 560 | 315 | 305 | " | " |
| | სოხუმის რაიონი | სოხუმი | 1180 | 530 | 415 | 235 | " | " |
| | გაგრის | გაგრა | 1180 | 550 | 415 | 215 | " | " |
| | აჭარის ასსრ | | | | | | | |
| | ბათუმის | ბათუმი | 850 | 410 | 315 | 125 | " | " |
| | ქობულეთის რაიონი | ქობულეთი | 970 | 410 | 345 | 215 | " | " |
| | ხელვაჩაურის | ხელვაჩაურ. | 1270 | 510 | 415 | 345 | " | " |
| | ხ უ ლ ო ს | ხულო | 1100 | 540 | 345 | 215 | " | " |
| | შუახევის | შუახევი | 1270 | 510 | 515 | 345 | " | " |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ქ ე დ ი ს | ქედა | 0/760 | 280/290 | 255 | 215 | „ | 1/VI |
| | სამხრეთ ოსეთის ა. ო | | | | | | | „ |
| | ქ. ცხინვალის | ქ. ცხინვ. | 860 | 410 | 315 | 135 | „ | |
| | ჯავის რაიონი | ჯ ა ვ ა | 160 | 70 | 55 | 35 | „ | „ |
| | ზნაურის რ-ნი | ზნაური | 160 | 70 | 55 | 35 | 5 | „ |
| | ლენინგორის | ლენინგორი | 640 | 260 | 215 | 165 | „ | „ |
| | ცხინვალის რ-ნი | ცხინვალი | 910 | 460 | 315 | 135 | „ | „ |

ტურისტული სადგურის

დ ი რ ე ქ ტ ო რ ი ჯ ი. სამხარაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 6

სკოლებისა და სკოლა-ინტერნატებისა, რომელთა შენობებიც გადაეცა საქართველოს სსრ პროფსაბჭოს პიონერთა ბანაკებისათვის

1. ბეთანის საბავშვო სახლი
2. ხიდისთავის საშუალო სკოლა

## აფხაზეთის ასსრ

1. დრანდის სკოლა-ინტერნატი
2. ოჩამჩირის საშუალო სკოლა
3. ბაბუშერას სკოლა-ინტერნატი
4. განთიადის სკოლა-ინტერნატი № 1
5. სოხუმის № 1 და № 2 სკოლა-ინტერნატები
6. ბიჭვინთის რუსული საშუალო-სკოლა
7. კალდახვარის სკოლა-ინტერნატი

## აჭარის ასსრ

1. ხულოს სკოლა-ინტერნატი
2. ქობულეთის № 2 საშუალო სკოლა
3. სალიბაურის სკოლა-ინტერნატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წლის 9 ივლისის ბრძანება № 513

საბჭოთა კავშირის გმირის, გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ ლესელიძის სახელობის რესპუბლიკურ საშუალო სკოლა-ინტერნატში მოსწავლეთა მიღების შესახებ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

რესპუბლიკურ სპეციალიზებულ საშუალო სკოლა-ინტერნატისათვის შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრება რუსულ ენასა და მათემატიკაში ჩატარდეს 1975 წლის 26 ივლისიდან 15 აგვისტომდე ჩათვლით.

სპეციალიზებული საშუალო სკოლა-ინტერნატის დირექტორმა (ამხ. ვ. დ. ხუბულურმა) სათანადოდ მოამზადოს სკოლა-ინტერნატის სასწავლო კორპუსი გასაუბრების ნორმალურ პირობებში ჩასატარებლად, უზრუნველყოს აბიტურიენტთათვის სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვა და სკოლა-ინტერნატში შემსვლელ მოსწავლეთა საექიმო კომისიაზე გატარება.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატების სამმართველომ (ამხ. თ. ნიკოლაიშვილმა) გაატაროს სათანადო ღონისძიებები შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრების მაღალორგანიზებულად ჩატარების უზრუნველსაყოფად.

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

უზრუნველყონ შერჩეული კანდიდატების დროულად და ორგანიზებულად ჩამოყვანა თბილისში და გასაუბრების ჩატარების შემდეგ მათი უკან დაბრუნება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რისთვისაც შერჩეული კანდიდატები გამოგზავნონ განათლების განყოფილების

სასკოლო ინსპექტორის ან სკოლის მოწინავე სამხედრო მასწავლებლის ხელმძღვანელობით, დაწესებული განრიგის მიხედვით (იხ. დანართი № 1)

განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძემ) შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრების პერიოდში გაითვალისწინოს თითოეული მოსწავლის კვებისათვის 0,91 კაპ. დღეში.

სკოლა-ინტერნატების სამმართველომ (ამხ. თ. ნიკოლაიშვილმა) და დაწყებითი სამხედრო მომზადების განყოფილებამ (ამხ. ა. ორახელაშვილმა) უზრუნველყონ შერჩეული კანდიდატების ორგანიზებულად გამოცხადება და სათანადო კონტროლი დააწესონ სკოლა-ინტერნატზე მიღების პირობების ზუსტად დაცვით.

მ ი ნ ი ს ტ რ ი    თ. ლაშქარაშვილი

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წლის 9 ივლისის ბრძანება № 515

**ფიზიკის სწავლების მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1974 წლის 20 დეკემბრის № 36 გადაწყვეტილებისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს იმავე წლის 12 თებერვლის № 108 ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.**

როგორც საკითხის შესწავლით გამოირკვა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზიკის სწავლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1974 წლის 20 დეკემბრის № 36 გადაწყვეტილებისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 12 თებერვლის № 108 ბრძანების შესასრულებლად ტარდება გარკვეული მუშაობა: რუსულიდან ითარგმნა და გამოიცა IX-X კლასებში ახალი სასწავლო პროგრამებით ფიზიკის სწავლების შესახებ მეთოდური ლიტერატურა, მომზადებულია ამოცანათა კრებული VIII-X კლასებისათვის, მალე დაისტამბება „სადემონსტრაციო ექსპერიმენტები ფიზიკაში“ (ტომი 1), გამოსაცემად მზადდება IX კლასებში ფიზიკის ზოგიერთი საკითხის სწავლების მეთოდიკა, სადაც განზოგადებულ იქნება რესპუბლიკის მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილება. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ფიზიკის მასწავლებელთა დახელოვნების კურსებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მასწავლებელთა დახელოვნების კურსები გაიარა 99-მა ფიზიკის მასწავლებელმა, 1975 წელს გათვალისწინებულია 160 ფიზიკის მასწავლებლის გადამზადება, გასული წლის აგვისტოში მოეწყო ქალაქებისა და რაიონების მეთოდური კაბინეტების ფიზიკის სექციის ხელმძღვანელთა ერთკვირიანი სემინარი VI-X კლასების ახალ სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში შეტანილი ცვლილებების გასაცნობად.

როგორც საკითხის შესწავლით გამოირკვა, აღნიშნული ბრძანების შესასრულებლად გარკვეული ღონისძიებები აქვთ გატარებული სახალხო განათლების ორგანოებს და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს. ქ. თბილისის კალინინის სახელობის, თელავისა და ხაშურის რაიონების განათლების განყოფილებებს განათლების საბჭოს სხდომაზე დროულად განუხილავთ განათლების სამინისტროს № 98 ბრძანება და დაუსახავთ კონკრეტული ღონისძიებანი. აღნიშნულ რაიონებში 1974-1975 სასწავლო წელს შესწავლილ იქნა სკოლებში ფიზიკის სწავლების მდგომარეობა და ბრძანებაში სუსტად მუშაობისათვის მოხსენებული მასწავლებლებისა და სკოლის დირექტორის მიმართ მიღებულ იქნა სათანადო ზომები.

განათლების ორგანოებმა, შეფი ორგანიზაციების დახმარებით, უკანასკნელ წელს კეთილმოაწყეს და მექანიზებული გახადეს არსებული კაბინეტები ქ. ცხინვალის № 6 და № 7, ქ. თბილისის № 1 და № 51. ქ. ხაშურის № 3, № 4, სამტრედიის № 2, თელავის რაიონის სოფ. აკურის საშუალო სკოლებში.

მოხსენებული სკოლების ფიზიკის კაბინეტებს მოწყობილი აქვთ ავტომატური დაბნელება, საეკრანო ბგერითი საშუალებები გადაყვანილია დისტანციურ მართვაზე. მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია აღნიშნული ბრძანების შესასრულებლად რესპუბლიკის ბევრმა საშუალო და რვაწლიანმა სკოლამ. მოეწყო და სრულყოფილი გახდა არსებული ფიზიკის კაბინეტები, ჩატარდა მათი აღწერა და შევსება განათლების სამინისტროს მიერ დაშვებული „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ტიპობრივი სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებისა და სასწავლო მოწყობილობათა ნუსხის“ მიხედვით.

ამაღლდა საგნის სწავლების მეცნიერული დონე, მასწავლებლები დამაკმაყოფილებლად გადასცემენ ფიზიკის ახალი კურსის ძირითად საკითხებს, ასრულებენ პროგრამით გათვალისწინებულ ლაბორატორიულ და პრაქტიკულ სამუშაოებს. მოსწავლეთა უმრავლესობას აქვს პრაქტიკული ხასიათის საკითხების გადაწყვეტის სათანადო ჩვევები. ამაღლდა ფიზიკის როლი მოსწავლეთა დიალექტიკურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობის ფორმირების საქმეში.

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ მასწავლებლები: მ. აბაიშვილი (ქ. თბილისის № 1 საშუალო სკოლა), ხ. ცხოვრებოვი და ვ. ბატიევი (ქ. ცხინვალის № 7 საშუალო სკოლა) ტ. გასიევა და ლ. უხანოვა

(ქ. ცხინვალის № 6 საშუალო სკოლა), ი. ხარიაშვილი (ხაშურის №-4 საშუალო სკოლა), გ. ჭიჭაშვილი (ქ. თელავის № 4 საშუალო სკოლა).

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ხარისხი: 1974-1975 სასწავლო წელს ჩატარებულ ნორჩ-ფიზიკოსთა 28-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის დასკვნით ტურში მონაწილე VII-X კლასების 234 მოსწავლიდან გამარჯვებული გამოვიდა 35, ხოლო IX საკავშირო ოლიმპიადში რესპუბლიკიდან წარგზავნილმა სამივე მონაწილემ დაიმსახურა II და III ხარისხის დიპლომები. ერთი მათგანი ჩარიცხულია საკავშირო ნაკრებში და მონაწილეობას მიიღებს ნორჩ ფიზიკოსთა VI საერთაშორისო ოლიმპიადაში.

დამაკმაყოფილებლად მუშაობს ქ. ცხინვალის № 6 საშუალო სკოლის ფიზიკის აკადემიური წრე (ხელმძღვანელები ტ. გასიევა და ლ. უხანოვა). წრის სამუშაო გეგმაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი თვითნაკეთი ხელსაწყოების დამზადებას და საოლიმპიადო ხასიათის ამოცანებზე ვარჯიშს, ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ამ წრის წევრებმა წარმატებას მიაღწიეს ნორჩ ფიზიკოსთა 28-ე რესპუბლიკურ ოლიმპიადაში.

მიუხედავად აღნიშნულისა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 12 თებერვლის № 108 ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შემოწმებამ გვიჩვენა, რომ არ სრულდება ბრძანებით გათვალისწინებული ზოგი საკითხი.

განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა, სათავსოების სიმცირის გამო, აღნიშნული ბრძანების შესაბამისად ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყო ფიზიკის კაბინეტის სათანადოდ გაფართოება და არსებული კაბინეტი სრულყოფილად მაინც ვერ პასუხობს თანამედროვე ეტაპზე ამ საგნის სწავლებისადმი გაზრდილ მოთხოვნებს. ინსტიტუტის ფიზიკის კაბინეტმა ასევე ვერ უზუნველყო 1974 წლისათვის დამტკიცებული გეგმის ზევით 90 ფიზიკის კაბინეტის ლაბორანტის გადამზადება.

ფაქტიურად არ სრულდება აღნიშნული ბრძანების მერვე თავის ე) პუნქტი, რომლის მიხედვითაც მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ფიზიკის კაბინეტს ევალებოდა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით, გამოსაცემად მომზადებინა მეთოდური ლიტერატურა, მით. თებანი ფიზიკის ახალი სასწავლო

პროგრამებით სწავლების ზოგიერთ საკვანძო საკითხზე, განეზოგადო-ბინა ფიზიკის მასწავლებელთა გამოცდილება.

გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის სექტორს, ბრძანების მე-7 პარაგრაფის შესაბამისად, არ წარმოუდგენია გამოსაცემად მოსამზადებელი მეთოდური ლიტერატურის სია ფიზიკის ახალი სასწავლო პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით სწავლების საკითხებზე.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყო სკოლებში არსებული კაბინეტების ახალი ნიმუშების დგამ-ავეჯით აღჭურვა და ფრონტალურ-ლაბორატორიული სამუშაოების ჩასატარებლად განკუთვნილ ხელსაწყოთა კომპლექტებით მომარაგება.

შემოწმებამ ცხადყო, რომ ქ. თბილისის ლენინისა და კიროვის სახელობის, ქ. ცხინვალისა და ხაშურის რაიონის განათლების განყოფილებებმა არ შეასრულეს ბრძანების მეორე პარაგრაფის დ) პუნქტი რომლის მიხედვითაც ევალებოდათ 1974 წლის ბოლომდე „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ტიპობრივი სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებისა და სასწავლო მოწყობილობათა ნუსხის“ მიხედვით ჩაეტარებინათ ფიზიკის კაბინეტების ზუსტი აღწერა მისი სრულყოფილობის დონის გამოსავლინებლად და მოეხდინათ ზედმეტი ხელსაწყოების გადანაწილება რაიონის (ქალაქის) სკოლებს შორის.

განათლების სამინისტროს 1974 წლის 12 თებერვლის № 108 ბრძანებაში აღნიშნული იყო ქ. თბილისის 50-ე (დირექტორი ო. გრიცაკი, კაბინეტის გამგე ნ. გოგაძე), თელავის რაიონის სოფ. კონდოლის (დირექტორი ვ. სვანიძე, კაბინეტის გამგე მ. კირვალიძე) სკოლების ფიზიკის კაბინეტების აღჭურვილობისა და ფართის უქმარობის შესახებ. განმეორებითმა შემოწმებამ ფაქტიურად იგივე სურათი მოგვცა. აღნიშნულ სკოლებში ამ მიმართებით არ იგრძნობა მნიშვნელოვანი ძვრები. ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს და ვერ უზრუნველყოფს საგნის დამაკმაყოფილებლად სწავლებას ხაშურის რაიონის სოფელ ხცისის (დირექტორი ი. ხრიკულოვი, კაბინეტის გაგე ს. მოსიაშვილი) და სოფელ ტეზერის (დირექტორი მ. ლომიძე კაბინეტის გამგე მ. კოკნაძე) ფიზიკის კაბინეტები.

ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შემოწმების შედეგად შეინიშნება, რომ ახალი პროგრამებით ფიზიკის სწავლებას თან

ახლავს გარკვეული სიძნელეები. ჯერ კიდევ დაბალია მოსწავლეთა ცოდნის დონე VIII-X კლასებში. მასწავლებელთა ნაწილი ცუდად ითვისებს პოლიტექნიკური ხასიათის საკითხებს, არ აქვთ შეძენილი ამოცანების ამოხსნისა და ფიზიკური ექსპერიმენტების შესრულების უნარ-ჩვევები. რესპუბლიკის ზოგიერთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ჯერ კიდევ ვერ ტარდება პროგრამით გათვალისწინებული ლაბორატორიული სამუშაოები და პრაქტიკუმები.

შემოწმებით გამოირკვა, რომ ზოგიერთი ფიზიკის მასწავლებელი ნაკლები პასუხისმგებლობით ასრულებს თავის მოვალეობას. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რაც აღნიშნული ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შემოწმებისას აღმოჩნდა.

სათანადო სიმაღლეზე არაა დაყენებული ფიზიკის სწავლება და დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე ქ. თბილისის 53-ე (მასწავლებლები ნ. გოგაძე, რ. ჩუევა და ნ. ხაზალაძე), ქ. ცხინვალის 1-ლი (მასწავლებლები ო. მაოგიევი, თ. მინდიაშვილი და ა. გიუნაშვილი), თელავის რაიონის სოფ. კონდოლის (მასწავლებელი მ. კიკვალიძე), ხაშურის რაიონის სოფ. ხცისის (ფიზიკის მასწავლებელი ს. ოსიაშვილი), ამავე რაიონის სოფელ ტეზერის (მასწავლებლები მ. კიკნაძე, თ. ბეროზაშვილი) საშუალო სკოლებში. ამ სკოლების მასწავლებლები სისტემატურად არ მუშაობენ თავიანთ თავზე, არ იმაღლებენ კვალიფიკაციას, სუსტად ემზადებიან გაკვეთილებისათვის, ნაკლებად სარგებლობენ მეთოდური ლიტერატურით, ვერ ფლობენ საგნის სწავლების მეთოდებსა და ფიზიკის სასკოლო ექსპერიმენტების ჩატარების ტექნიკას. სრულიად არ იცნობენ სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებულ ფრონტალურ-ლაბორატორიულ სამუშაოებს და პრაქტიკუმებს.

სწავლების დაბალი დონის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ის, რომ სუსტია შინასასკოლო კონტროლი და მეთოდური დახმარება ამ საგნის სწავლებაზე. ასე, მაგალითად, ხაშურის რაიონის სოფელ ხცისის საშუალო სკოლის დირექტორს ი. ხოიქულოვს 1974-1975 სასწავლო წელს მოსმენილი აქვს ფიზიკის მხოლოდ ერთი გაკვეთილი, ხოლო სასწ. ნაწილის გამგეს ს. დარუნდაშვილს-სამი. ანალოგიური მდგომარეობაა ხაშურის რაიონის სოფ. ტეზერის საშუალო სკოლაში: სკოლის დირექტორს მ. ლომიძეს მიმდინარე სასწავლო წელს მოსმენილი აქვს მხოლოდ სამი გაკვე-

თილი, ხოლო სასწავლო ნაწილის გამგეს-ორი. მოსმენილი გაკვეთილების ანალიზის გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ იგი იფარგლება გაკვეთილის მსვლელობის მოკლე აღწერით და არ მოიცავს არავითარ მეთოდურ მითითებას.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზიკის სწავლების საქმეში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ფიზიკის მასწავლებლებმა:

ა) მტკიცედ იხელმძღვანელონ ფიზიკის სწავლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ სსრ კავშირის განათლების მინისტრის 1974 წლის 20 დეკემბრის № 36 და საქართველოს სსრ განათლების მინისტრის იმავე წლის 12 თებერვლის ბრძანებით. უზრუნველყონ მათი განუხრელად შესრულება;

ბ) სისტემატურად იზრუნონ საკუთარი პედაგოგიურ-მეთოდური დახელოვნებისათვის, საფუძვლიანად მოემზადონ თითოეული გაკვეთილისათვის. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობას. წრეობრივი მუშაობისას დიდი ადგილი დაუთმონ ამოცანებზე ვარჯიშსა და თვითნაკეთი ხელსაწყოების დამზადებას; თვეში ერთხელ ჩაატარონ საკონტროლო წერები. სწორად შეარჩიონ ამოცანები და წერის შედეგები მხედველობაში მიიღონ მეოთხედური ნიშნის გამოყვანის დროს;

გ) სრულ წესრიგში მოიყვანონ ფიზიკის კაბინეტ-ლაბორატორიები. ზუსტად დაიცვან ხელსაწყო-იარაღების მოვლისა და შენახვის წესები. მაქსიმალურად გამოიყენონ გაკვეთილებზე თვალსაჩინოება, ტექნიკური საშუალებები და ფიზიკური ექსპერიმენტები. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საგნის პრაქტიკული ნაწილის სრულყოფილად შესრულებას (ფრონტალურ—ლაბორატორიული სამუშაოები და პრაქტიკუმები). განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეებში თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ცოდნა-ჩვევების განმტკიცებას;

დ) VIII-X კლასებში მომუშავე მასწავლებლებმა საგნის სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილონ კინემატიკის, მოლეკულურ-კინეტიკური თეორიის, რადიოტექნიკის, ფიზიკური ოპტიკისა და, საერთოდ, მოსწავლეთა მიერ პოლიტექნიკური

ხასიათის საკითხების შეთვისების დონეზე. მჭიდროდ დაუკავშირონ ფიზიკის სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო და შრომითი სწავლების საგნებს;

ვ) იმის გამო, რომ თბილისის 50-ე საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებლებმა ნ. გოგაძემ და რ. ჩუაევამ ვერ გაითვალისწინეს მუშაობაში დაშვებული შეცდომები, რისთვისაც ადრე სამინისტროს № 108 ბრძანებით იქნენ დასჯილნი და ამჟამადაც სუსტად ასწავლიან საგანს, მუშაობაში არსებული მთელი რიგი ნაკლოვანებებისათვის გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური; ამასთან, კალინინის რაიონის განათლების განყოფილებამ მიმდინარე წლის 20 აგვისტომდე შეისწავლოს საკითხი აემდგომში ამ საგნის მასწავლებლებად მათი გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ;

ვ) სკოლაში ფიზიკის სწავლებისადმი სუსტი კონტროლის გამო, რამაც ერთგვარად განაპირობა ამ საგნის სწავლების მეტად დაბალი დონე, ხაშურის რაიონის სოფელ ხცისის საშუალო სკოლის დირექტორს ი. ხრიკულოვს გამოეცხადოს საყვედური;

ზ) ფიზიკის სწავლებისადმი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობის გამო ხაშურის რაიონის ტეზერის საშუალო სკოლის დირექტორს მ. ლომიძეს მიეთითოს;

თ) საგნის სუსტად სწავლების და მოსწავლეთა დაბალი მომზადების ათვის ფიზიკის მასწავლებლებს: ნ. ხაზარაძეს (ქ. თბილისის 50-ე საშუალო სკოლა), ს. მასიაშვილს (ხაშურის რაიონის სოფელ ხცისის საშუალო სკოლა), მ. კიკნაძეს და თ. ბეროზაშვილს (ხაშურის რაიონის სოფელ ტეზერის საშუალო სკოლა) გამოეცხადოთ საყვედური;

ი) მიღებულ იქნეს ცნობად, რომ თელავის რაიონის სოფელ კონდოლის ფიზიკის მასწავლებელს მ. კოვალიძეს სუსტი მუშაობისათვის განათლების განყოფილების გამგის მიერ გამოცხადებული აქვს საყვედური;

კ) სკოლების სამმართველომ მომავალი სასწავლო წლის პირველ ნახევარში შეისწავლოს ქ. ცხინვალის 1-ელ საშუალო სკოლაში ფიზიკის სწავლების მდგომარეობა და შედეგები მოახსენოს განათლების სამინისტროს კოლეგიას.

**2.** ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორებმა:

ა) მიიღონ მათზე დამოკიდებული ყველა ზომა სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ზემოხსენებულ ბრძანებათა შესასრულებლად;

ბ) გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი ფიზიკის კაბინეტების ხელსაწყო-იარაღებითა და თვალსაჩინო მასალებით მაქსიმალურად უზრუნველსაყოფად;

გ) ფიზიკის მასწავლებელთა მუშაობაზე ხელმძღვანელობისა და კონტროლის მიზნით სისტემატურად მოისმინონ მათი გაკვეთილები და ღრმა ანალიზის საფუძველზე მისცენ მეთოდურად სწორი მითითებანი.

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო. ქალაქებისა რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი ფიზიკის სწავლების გასაუმჯობესებლად, გაითვალისწინონ მასწავლებელთა მეთოდური გადამზადება და, ფიზიკის სწავლების ახალ შინაარსზე გადასვლასთან დაკავშირებით, გააძლიერონ კონტროლი საგნის პრაქტიკული მხარის სრულყოფილად შესრულებისათვის (ფიზიკის ექსპერიმენტები, ფრონტალურ-ლაბორატორიული სამუშაოები და პრაქტიკუმები); სრულყოფილი გახადონ არსებული ფიზიკის კაბინეტები და შექმნან იგი ყველგან, სადაც დღემდე არ არსებობს. დაამთავრონ ფიზიკის კაბინეტების დაკომპლექტება არსებული სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებისა და სასწავლო მოწყობილობათა ნუსხის მიხედვით; აქედან, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სოფლის სკოლებს;

ბ) მასწავლებელთა ატესტაციის ჩატარებისას მკაცრად იმსჯელონ იმ მასწავლებელთა შესახებ, რომლებმაც დღემდე ვერ უზრუნველყვეს საგნის სწავლების სათანადო დონეზე დაყენება;

გ) ახალი სასწავლო წლის ბოლომდე დააზუსტონ იმ ფიზიკის მასწავლებელთა სიები, რომლებსაც უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე არ გაუვლიათ მასწავლებელთა დახელოვნების კურსები და ჩააბან მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის შესაბამის ღონისძიებაში;

დ) იმ მასწავლებელთა მიმართ, რომლებიც სუსტი მუშაობის გამო განმეორებით მოხვდნენ სამინისტროს ბრძანებაში, გაატარონ საჭირო ადმინისტრაციული ღონისძიებანი.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახლობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითმა (ამხ. გ. საყვარ-

ელიძემ) და მასწავლებელთა დახელოვნების (ამხ. თ. ზახაშვილმა) ინსტიტუტებმა დროულად და ზუსტად შეასრულონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის № 108 ბრძანებით გათვალისწინებული დავალებანი.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილმა), პოლიტექნიკური სწავლებისა და ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების რესპუბლიკურმა მეთოდკაბინეტმა (ამხ. დ. გვალიამ) სისტემატურად შეამოწმონ და ქმედითი მეთოდური და პრაქტიკული დახმარება გაუწიონ დახელოვნების ინსტიტუტის ფილიალებთან არსებულ მოძრავ სახელოსნო-ლაბორატორიებს.

6. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილმა) გეგმის ზევით გადაამზადოს ფიზიკის კაბინეტების 90 ლაბორანტი. მათი გადამზადების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სწავლებაში ტექნიკური საშუალებების გამოყენებას.

7. კადრების განყოფილებამ (ამხ. ი. კვაჭაძემ), სკოლების სამმართველოსთან ერთად (ამხ. რ. კანდელაკი), 1975 წლის I-ელ ნახევარში შეისწავლოს ფიზიკის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების პრაქტიკა და გაატაროს ღონისძიებანი მათი გადამზადების გასაუმჯობესებლად სწავლების მეთოდიკაში, სადემონსტრაციო ექსპერიმენტის ტექნიკაში, ფრონტალურ-ლაბორატორიული სამუშაოების და პრაქტიკუმების ჩატარების საქმეში.

8. ჟურნალმა „სკოლა და ცხოვრებამ" (ამხ. გ. საჯაიამ) და მისმა დარგობრივმა დამატებამ „ფიზიკა-მათემატიკა სკოლაში" (ამხ. შ. ბაკურაძემ) და გაზეთმა „სახალხო განათლებამ" (ამხ. ნ. შველიძემ), ფიზიკის მასწავლებელთა მეთოდური დახმარების მიზნით, გამოაქვეყნონ სტატიები, რეცენზიები სახელმძღვანელოებზე, სასწავლო პროგრამებსა და მეთოდურ მითითებებზე.

9. განათლების სამინისტროს მეთოდიკისა და სახელმძღვანელოების სამმართველომ (ამხ. ლ. მნათობიშვილმა) უზრუნველყოს სადემონსტრაციო ექსპერიმენტები ფიზიკაში" II ტომის რუსულიდან თარგმნა და გამოცემა.

10. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. გ. კბილაშვილმა) მიიღოს ქმედითი ზომები ფიზიკის კაბინეტებისა და ლაბორატორიული სამუშაოებისათვის განკუთვნილ ხელსაწყოთა კომპლექტებით შესავსებად.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1975 წლის 29 მაისის დადგენილება.

მ ი ნ ი ს ტ რ ი — **თ. ლაშქარაშვილი**

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წლის 16 ივლისის ბრძანება № 525

### მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა აღრიცხვის, დანიშვნის, გადაყვანისა და გათავისუფლების მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ ქ. რუსთავის, ქ. თბილისის პირველი მაისის, თელავის, გურჯაანის, ახმეტისა და წითელწყაროს რაიონების განათლების განყოფილებებში

შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ ქ. რუსთავის, ქ. თბილისის პირველი მაისის, თელავის, გურჯაანის, ახმეტისა და წითელწყაროს რაიონების განათლების განყოფილებებში გაუმჯობესდა მასწავლებელთა აღრიცხვის, დანიშვნის, გათავისუფლებისა და გადაყვანის მდგომარეობა. სკოლებში ახლადდანიშნულ მასწავლებელთა უმრავლესობას აქვს უმაღლესი ან საშუალო პედაგოგიური განათლება. სკოლის დირექტორებად დანიშნულები არიან ამ თანამდებობისათვის შესაფერი მუშაკები. გაუმჯობესდა პედაგოგიური კადრის შემადგენლობა. სკოლის მუშაკთა გათავისუფლება და ერთი სკოლიდან მეორეში გადაყვანა ხდება შრომის კანონმდებლობის დაცვით, წესრიგშია მასწავლებელთა პირადი საქმეები.

აღნიშნულის მიუხედავად, ზემოთ ჩამოთვლილი რაიონების განათლების განყოფილებების მუშაობაში ჯერ კიდევ შეიმჩნევა მთელი რიგი ნაკლოვანებები.

განათლების სამინისტროს მითითების მიუხედავად, ზოგ შემთხვევაში მასწავლებლად დანიშნული არიან ისეთი პირები, რომელთაც არ გააჩნიათ სათანადო განათლების ცენზი, მაგალითად: ქ. რუსთავის განათლების განყოფილების მიერ (გამგის მოვალეობის შემსრულებელი ბ. მესხი) 1975 წლის 11 თებერვალს № 8 რვაწლიანი სკოლის I-IV კლასების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად

(5 გაკვეთილზე) დანიშნულია ა. ს. პუშკინის სახელობის პედინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი დ. დ. ცხოვრებაძე, განათლების განყოფილებას კი აღრიცხვაზე ჰყავს აღნიშნული საგნის შვიდი სპეციალისტი; № 1 საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებლად (გამგე ნ. გველესიანი) დანიშნულია ნოვოჩერკასკის პოლიტექნიკური ინსტიტუტის V კურსის სტუდენტი ს. ნ. პოლიხრონიდი, მაშინ როცა ამ სკოლაში დაუტვირთავია ამავე საგნის მასწავლებელი ს. ნ. ნაუმიდი.

თელავის რაიონის განათლების განყოფილების მიერ (გამგე ა. თეალიაშვილი) იყალთოს საბავშვო ბაღში აღმზრდელებად 1975 წლის 7 იანვარს დინიშნულები არიან არასპეციალისტები-თელავის პედინსტიტუტის ფიზიკისა და მათემატიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულნი ნ. ა. ჯერენაშვილი და თ. დ. ლაცაბიძე, ხოლო სამინისტროს მიერ გაგზავნილ სკოლამდელი აღზრდის სპეციალისტები განათლების განყოფილებამ არ მიიღო.

ამავე რაიონის ნაფარეულის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლად დანიშნულია საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის III კურსის სტუდენტი ოთარ კიკვიძე; მე-6 საშუალო სკოლის მუსიკალური ჯგუფების მასწავლებლად კი თელავის მუსიკალური სასწავლებლის III კურსის სტუდენტი მ. დ. სხირტლაძე.

სათანადო ყურადღება არ ექცევა სკოლამდელ დაწესებულებებში შესაფერისი კადრების შერჩევა-დანიშვნის საქმეს წითელწყაროს რაიონში (გამგე ნ. ბოსტოღანაშვილი). მაგალითად: № 1 საბავშვო ბაღის გამგედ დანიშნულია ბიოლოგი ლ. შანშიაშვილი; არხილოსკალოს საბავშვო ბაღში აღმზრდელად-ეკონომისტი ლ. ბუთხუზი, ხოლო აღნიშნული რაიონის განათლების განყოფილებას ასევე უარი აქვს ნათქვამი სამინისტროსათვის სკოლამდელი აღზრდის სპეციალისტების გაგზავნაზე. სკოლამდელი დაწესებულებების რუსული ენის შემსწავლელ ჯგუფებში განათლების სამინისტროს ნებართვის გარეშე ამავ რაიონში დანიშნულები არიან აგრეთვე არასპეციალისტები. სამთაწყაროს რვაწლიანი სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად დანიშნულია ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლადამთავრებული ვ. ი. იურინი; ქვემოქედის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების რუსული ენის მასწავლებლად-საშუალო განათლების მქონე თ. ი. ინაშვილი.

ახმეტის № 1 საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებლად (ვამცე დ. ნაროზაული) დანიშნულია ნ. შ. კობიაშვილი, რომელსაც დამთავრებული აქვს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მცენარეთა დაცვის ფაკულტეტი; აწყურის საშუალო სკოლასთან არსებული მუსიკალური ჯგუფების მასწავლებლად კი თელავის მუსიკალური სასწავლებლის III კურსის სტუდენტი ნ. ა. კვინტრაძე.

ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებს, როდესაც განათლების განყოფილებები მასწავლებლებად შეთავსებით ნიშნავენ სხვა დაწესებულებებში მომუშავე პირებს, როცა ამის აუცილებლობა სკოლის ინტერესებით არაა გამოწვეული. მაგალითად: ქ. რუსთავის № 1 საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებლად დანიშნულია ქარხანა „ცენტროლიტის" საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსი ნ. ვ. კაშირსკაია; მე-16 საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლად-ქ. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის № 3 საერთო საცხოვრებლის კომენდანტი ვ. კულიჯანოვი.

ადგილი აქვს გრეთვე მცირე რაოდენობის საათებზე მასწავლებელთა დანიშვნის შემთხვევებს. მაგალითად: ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის განათლების განყოფილების მიერ მე-18 საშუალო სკოლის ლაბორანტი ნ. ი. მეგრელიშვილი დანიშნულია ინგლისური ენის მასწავლებლად 6 საათზე, როცა ამავე სკოლაში დატვირთავია აღნიშნული საგნის სამი მასწავლებელი: ჭყონია (6 ს.), ჭრელაშვილი (16 ს.), ღვიაშვილი (17 ს.).

ქ. რუსთავის განათლების განყოფილების მიერ მე-17 საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწავლებლად დანიშნულია ც. ნ. შვანგირაძე, ამ სკოლაში კი მუშაობს უცხო ენის 11 სპეციალისტი, რომელთა შორის ხუთს: უ. მაჭარაძეს, ნ. ბაქრაძეს, თ. ნიკოლაძეს, ვ. გურგენიძეს და ი. ბუსკივაძეს აქვთ განაკვეთზე ნაკლები დატვირთვა.

ხშირია აღრიცხვის გარეშე მასწავლებელთა დანიშვნის შემთხვევებიც, მაგალითად: ქ. რუსთავის მე-18 საშუალო სკოლის ტექნიკური შრომის მასწავლებელი თ. ზ. აბრამიშვილი და საღამოს № 7 საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი შ. ს. ბერელიძე დანიშნულნი არიან ყოველგვარი აღრიცხვის გარეშე.

აღნიშნულ რაიონებში 1974 წლის 5 სექტემბრის შემდეგ დანიშნულ მასწავლებლებზე საერთოდ არ არის შედგენილი სტარიფიკაციო სიები.

მასწავლებელთა გადაყვანა-გათავისუფლება თანაბარ ან უფრო დაბალ თანამდებობებზე ყველგან არ ხდება პირადი განცხადების საფუძველზე. მაგალითად: გურჯაანის რაიონის შრომის საშუალო სკოლის მასწავლებელი თ. შ. ლაზარიაშვილი გადაყვანილია ქ. გურჯაანის სკოლა-ინტერნატში, ახმეტის რაიონის ქორეთის რვაწლიანი სკოლის ქართული ენის მასწავლებელი ა. ი. ბუწანკალური-საკობიანოს საშუალო სკოლაში, ქ. რუსთავის მე-19 საშუალო სკოლის მუსიკის მასწავლებელი გ. ვ. ტუნდიკი-მე-11 ბაგა-ბაღში, მაგრამ არც ერთი მათგანის განცხადება ბრძანებას არ აქვს დართული.

თელავის რაიონის კისისხევის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი გ. გომურაშვილი განათლების განყოფილების მიერ დათხოვნილია სამუშაოდან, მაგრამ ბრძანებაში არ არის აღნიშნული დათხოვნის მიზეზი, ამის გარდა, გომურაშვილი არ დასწრებია სკოლის ადგილკომის სხდომას, სადაც იხილებოდა მისი გათავისუფლების საკითხი.

შემოწმებული რაიონების განათლების განყოფილებებს სათანადო მუშაობა აქვთ ჩატარებული სკოლისდირექტორებისა და მათი მოადგილეების სპეციალობის მიხედვით შერჩევისას, მაგრამ ბევრ სკოლაში ჯერ კიდევ გვხვდებიან ერთნაირი ან მონათესავე ციკლის საგნის სპეციალისტები. ასეთია მაგალითად: წ/წყაროს რაიონის რუსული, მე-2 ქართული, სალამოს და ზემომაჩხაანის საშუალო სკოლები; თელავის რაიონის თელავის № 4, № 5, რუისპირის, ნაფარეულის, კურდღელაურის საშუალო,ართანის და ბუშეტის რვაწლიანი სკოლები; ახმეტის მე-2, ოსიაურის საშუალო, ომალოს, ჟალურის და კასრისწყლის რვაწლიანი სკოლები; გურჯაანის რაიონის ვეჯინის, ახაშნის, ჭანდრის, კარდანახის, კაჭრეთის საშუალო, კოლაგისა და ნანიანის რვაწლიანი სკოლები; ქ. რუსთავის № 8, № 14, 16, 20 საშუალო და სალამოს № 1, 4, 5 სკოლები; პირველი მაისის № 17, 19, 20, 27 29, 115 საშუალო სკოლები.

მასწავლებელთა ატესტაციის მომზადებულად შესახვედრად, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 1 თებერვლის ბრძანებისა და 1972 წლის ივლისის ინსტრუქციის საფუძველზე, განათლების განყოფილებების გამგეებს დაევალათ მასწავლებელთა პირადი ბარათებისა და პირადი საქმეების სრულ წესრიგში მოყვანა. ქ. რუსთავის განათლების განყოფილებამ 1973 წლის 27 ნოემბერს (№ 422) სამინისტროს აცნობა, რომ მასწავლებელთა პირადი საქმეები

სრულ წესრიგში აქვს მოყვანილი, მაგრამ შემოწმებით გამოირკვა, რომ მას საერთოდ არ აქვს მასწავლებელთა პირადი საქმეები.

გურჯაანის რაიონის განათლების განყოფილებას მოსაწესრიგებელი აქვს მუსიკალური სტუდიების მასწავლებელთა პირადი საქმეები, ხოლო ახმეტის რაიონის განათლების განყოფილებას საბავშვო ბაღებისა და ბაგა-ბაღების მასწავლებელთა პირადი საქმეები.

წითელწყაროს რაიონის მასწავლებელთა პირადი საქმეები გადატვირთულია ზედმეტი ცნობებით, უკანასკნელი დახასიათებები დაწერილია 1959 1960 წლებში; არხილოსკალოს საშუალო სკოლის შრომის მასწავლებლის ვ. პ. მელიქიშვილს პირად საქმეში, გარდა ავტობიოგრაფიისა, არ გააჩნია სხვა დოკუმენტი; ამავე სკოლის მასწავლებლის ნ. თ. ჩოხრაულის პირად საქმეში არ არის დანიშვნის ბრძანება; ქ. რუსთავის მე-7 საშუალო სკოლის დირექტორს შ. რეხვიაშვილს პირად საქმეში არ აქვს ფოტოსურათი, ავტობიოგრაფია; დახასიათება და ცნობა ჯანმრთელობის შესახებ; № 12 საშუალო სკოლის დირექტორს ვ. ი. თუშურაშვილს პირად საქმეში არ აქვს ანკეტა, განათლების დამადასტურებელი საბუთის ასლი, დახასიათება და ცნობა ჯანმრთელობის შესახებ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს რაიონებისა და ქალაქის განათლების განყოფილებათა გამგეებს:

მასწავლებელთა დანიშვნის, გადაყვანისა და გათავისუფლების დროს მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წლის 16 ივლისის ინსტრუქციით.

2. დაევალოს ქ. თბილისის პირველი მაისის, ქ. რუსთავის, თელავის, გურჯაანის, ახმეტისა და წითელწყაროს რაიონების განათლების განყოფილებების გამგეებს:

ა) არსებული წესის დაცვით შეცვალონ მათ მიერ დანიშნული შეუფერებელი განათლების მქონე მასწავლებლები შესაფერი სპეციალობის მუშაკებით;

ბ) სკოლის დირექტორებად, მათ მოადგილეებად სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის დარგში და ორგანიზატორებად კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის დარგში შეარჩიონ სხვადასხვა სპეციალობის სათანადო გამოცდილებისა და სტაჟის მქონე მოწინავე მასწავლებლები;

გ) არ დაუშვან მცირე რაოდენობის გაკვეთილებზე მასწავლებ-ელთას დანიშვნა საქართველოს სსრ, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებთან წინასწარი შეთანხმების გარეშე.

დ) მასწავლებელთა ატესტაციის მომზადებულად ჩასატარებლად ერთი თვის განმავლობაში სრულ წესრიგში მოიყვანონ მასწავლებელ-თა შრომის წიგნაკები და პირადი საქმეები როგორც სკოლაში, ისე განათლების განყოფილებებში;

ე) არ დაუშვან მასწავლებელთა სამუშაოდან დათხოვნა სკოლის ადგილკომის თანხმობის გარეშე.

4. მასწავლებელთა აღრიცხვის, დანიშვნის, გადაყვანისა და განთავისუფლების საქმეში დაშვებული უხეში დარღვევებისათვის ქ. რუსთავის განათლების განყოფილების გამგეს ნ. გველესიანს გამოეც-ხადოს საყვედური;

წითელწყაროს რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ნ. ს. ბოსტოღანაშვილს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში შეუ-ფერებელ მუშაკთა დანიშვნისათვის გამოეცხადოს საყვედური;

ახმეტის, გურჯაანისა და თელავის რაიონების განათლების განყოფილებების გამგეებს: დ. ბ. ნაროზაულს, ვ. ვ. კახაბერსა და ა. გ. თვალიაშვილს მასწავლებელთა აღრიცხვის, დანიშვნის, გადაყ-ვანისა და გათავისუფლების საქმეში დაშვებული შეცდომებისათვის მიეცეთ გაფრთხილება.

5. განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებამ (ამხ. ი. ი. კვაჭაძე):

ა) დააწესოს კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე;

ბ) სისტემატურად შეამოწმოს მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა აღრიცხვის, დანიშვნის, გადაყვანისა და განთა-ვისუფლების მდგომარეობა რესპუბლიკის რაიონებში.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლე-გიის 1975 წლის 3 ივლისის დადგენილება

მ ი ნ ი ს ტ რ ი    თ. ვ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წლის 18 ივლისის ბრძანება № 542

## ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა ნაწილობრივი ატესტაციის ჩატარების შედეგების შესახებ

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1974 წლის 13 მაისის № 50 ბრძანების შესაბამისად, მიმდინარე წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა ნაწილობრივი ატესტაცია ჩატარდა ქ. თბილისის კალინინის სახელობის, ქ. სოხუმის, ქობულეთისა და გორის რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

ატესტაციის დაწყებამდე ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაო, სემინარული ხასიათის თათბირები; კოლეგიამ ორჯერ განიხილა საკითხი ადგილებზე ატესტაციის მიმდინარეობაზე, საატესტაციო კომისიის თავმჯდომარეების, მუშა კომისიის თავმჯდომარეების (განათლების განყ. გამგე) მონაწილეობით.

პრესაში გამოქვეყნდა საინსტრუქციო და საინფორმაციო ხასიათის მასალები, პასუხები შემოსულ შეკითხვებზე და სხვა.

ადგილებზე შეიქმნა და დამტკიცდა საატესტაციო კომისიები, შედგა რესპუბლიკური და ადგილობრივი საატესტაციო კომისიების სამუშაო გეგმა და გრაფიკი. ითარგმნა და გამოიცა დებულება ატესტაციის შესახებ. შეიქმნა ყველა საჭირო ტექნიკური დოკუმენტაცია და დაყვანილი იქნა ადგილებზე.

ჩატარდა სკოლათა დირექტორების, პროფკავშირული და საზოგადოებრიობის წარმომადგენლების თათბირ-სემინარი, სადაც განხილულ იქნა დებულება ატესტაციის ჩატარების შესახებ.

რესპუბლიკური საატესტაციო კომისიის წევრები სისტემატურად ესწრებოდნენ ადგილებზე საატესტაციო კომისიების სხდომებს.

ატესტაციის შედეგად გამოვლინდა საუკეთესო მასწავლებელთა ჯგუფი, რომელიც შეიარაღებულია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ცოდნით, სისტემატურად მუშაობენ თავის თავზე, კითხულობენ მეთოდურ ლიტერატურას, უზიარებენ თავიანთ ცოდნა-გამოცდილებას დამწყებ მასწავლებლებს და სხვ.

აღნიშნული ქალაქებისა და რაიონის სკოლებში სულ მუშაობს 4284 მასწავლებელი, მათგან ატესტაცია შეეხო 3046 მასწავლებელს.

მიმდინარე წელს ატესტაცია გაიარა 3046 მასწავლებელმა. გათავისუფლებაზე განცხადება დაწერა 116 მასწავლებელმა, ხოლო ატესტაციის მიმდინარეობის პროცესში გათავისუფლდა მასწავლებლის თანამდებობიდან დაკავებული თანამდებობაზე შეუფერებლობის გამო 10 მასწავლებელი, მათგან გორის რაიონიდან-4, ქობულეთის რაიონიდან-6.

ატესტაცია გადაუვადდა 1121 მასწავლებელს (ერთ წელზე ნაკლები მუშაობის, დამწყები მასწავლებლის, პენსიის ასაკის და სხვა მიზეზებით, რაც გათვალისწინებულია დებულებით).

ატესტაციაში გავლილ მასწავლებელთა შემადგენლობიდან 40-საუკეთესო მასწავლებელი, წახალისების მიზნით, გაგზავნილია ტურისტული მატარებლით საბჭოთა კავშირის ფარგლებში, ხოლო ხუთი შერჩეულია საზღვარგარეთ (იუგოსლავიაში) გასამგზავრებლად.

რკინიგზის სკოლებიდან მიმდინარე წელს ატესტაცია ჩატარდა ქ. სოხუმის № 2 სკოლა-ინტერნატში და დასწრებულ-დაუსწრებელ საკონსულტაციო პუნქტში, სადაც ატესტაცია გაიარა 22 მასწავლებელმა, რომლებიც კომისიის დადგენილებით შეეფერებიან დაკავებულ თანამდებობას.

„უფროსი მასწავლებლის" წოდებაზე წარმოდგენილია 8 მასწავლებელი, „მასწავლებელ მეთოდისტის" წოდებაზე-2.

მათგან ქ. თბილისის კალინინის სახელობის რაიონიდან უფროსი მასწავლებლის წოდებაზე-1 და მასწავლებელ-მეთოდისტის წოდებაზე 1, ქ. სოხუმიდან უფროსი მასწავლებლის წოდებაზე 1 და მასწავლებელ-მეთოდისტის წოდებაზე 1, ქობულეთის რაიონიდან უფროსი მასწავლებლის წოდებაზე 3 და გორის რაიონიდან 3.

მასწავლებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი, წახალისების მიზნით, წარმოდგენილია სხვადა სხვა სახის ჯილდოებზე: ქების სიგელი, სახალხო განათლების წარჩინებულის სამკერდე ნიშანი და სხვა.

შემოწმებით დადგინდა, რომ მუშა კომისიები და ადგილობრივი საატესტაციო კომისიები ძირითადად პასუხისმგებლობით მოეკიდნენ ამ საქმეს, ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია გორის რაიონის მუშა საატესტაციო კომისიის მიერ გაწეული მუშაობა-საატესტაციო მასალების სწორად გაფორმება, სხდომების გრაფიკით დაწესებულ ვადებში ჩატარება, დებულების შესაბამისად მასალების რესპუბლიკურ საატესტაციო კომისიაში სწორად წარმოდგენა და სხვა.

ამასთან ერთად, აღინიშნება ზოგიერთი მუშა კომისიის მუშაობაში ნაკლოვანებანი—ქ. თბილისის კალინინის სახელობის რაიონის მუშა კომისიამ საატესტაციო ფურცლები შეავსო ფანქრით. მასწავლებელთა ნაწილი არ იცნობდა თავის დახასიათებას და სხვა.

ქობულეთის რაიონის მუშა საატესტაციო კომისიამ სწორად არ შეავსო საატესტაციო ფურცლები, რის შედეგად იგი დიდი რაოდენობით იქნა გახარჯული.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

ატესტაციის შედეგად გამოვლინებულ საუკეთესო მასწავლებლებიდან;

ა) მიენიჭოს „მასწავლებელ მეთოდისტის" საპატიო წოდება:

1. მერკულოვას ო. მ.—ქ. სოხუმის № 14 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს.

2. ტუსკიას ქ. ი.—ქ. თბილისის № 42-ე საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელს.

ბ) მიენიჭოს „უფროსი მასწავლებლის" საპატიო წოდება:

1. შაფთოშვილს შ. ა.—კარალეთის საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელს (გორის რაიონი).

2. კაპანაძეს ც. ი.—ტყვიავის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს (გორის რაიონი).

3. ჩხეიძეს ქ. ი.—კარბის რვაწლიანი სკოლის გერმანული ენის მასწავლებელს (გორის რაიონი).

4. ზარდიაშვილს ზ. ლ.—ქ. თბილისის № 47-ე საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელს (კალინინის რაიონი).

5. ლაშხიას ტ. პ.—ჩაქვის საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელს (ქობულეთის რაიონი).

6. კობალავას ო. ნ.—ქობულეთის № 1 საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს (ქობულეთის რაიონი).

7. მანელიშვილს ფ. მ.—ლეღვას საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელს (ქობულეთის რაიონი).

8. ლაკობას ა. ძ.—ქ. სოხუმის № 10 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.

გ) დაჯილდოვდნენ „სახალხო განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით:

1. ცერცვაძე თ. დ.—ატენის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი-გორის რაიონი.

2. ჩიხლაძე ა. ვ.—ტყვიავის საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებელი-გორის რაიონი.

3. ლომოური მ. მ.—ტირძნისის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი-გორის რაიონი.

4. მეზვრიშვილი ქ. ა.—ქვახვრელის საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი-გორის რაიონი.

5. სამნიაშვილი ნ. ა.—შინდისის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი-გორის რაიონი.

6. ბობოქაშვილი ა. ი.—ძევერის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი-გორის რაიონი.

7. დავიდოვი რ. პ.—ძევერის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი-გორის რაიონი.

8. ჩიტაძე ნ. ა.—ყელქცეულის საშუალო სკოლის ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებელი-გორის რაიონი.

9. მეცხვარიშვილი თ. ა.—ბერბუკის საშუალო სკოლის ფიზიკისა და მათემატიკის მასწავლებელი-გორის რაიონი.

10. ლაზარიძე თ. ს.—ახალციხის რვაწლიანი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი-გორის რაიონი.

11. მარიოზაშვილი ზ. დ.—დიდი მეჯვრისხევის რვაწლიანი სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი-გორის რაიონი.

12. მელიქიძე ც. მ.—ოთარაშენის რვაწლიანი სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი-გორის რაიონი.

13. აფციაური ც. შ.—ყელქცეულის საშულო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი-გორის რაიონი.

14. ნალაშვილი ნ. ზ.—ქ. თბილისის № 46 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

15. ელიავა ლ. ვ.—ქ. თბილისის № 41 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი.

16. ღლონტი დ. პ.—ქ. თბილისის № 47 საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი.

17. თოლორდავა ფ. ვ.—ქ. თბილისის № 47-ე საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

18. ნესტოროვა კ. ნ.—ქ. თბილისის № 45 საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი.

19. კუტუბიძე ნ. ე.—ქობულეთის № 6 საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი.

20. დვალიშვილი თ. ვ.—ჩაქვის ქართული საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

21. მამინაშვილი ზ. ა.—აჭყვას საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

22. ჯაყელი—გ. მ.—ხალას საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი.

23. ჭანტურიშვილი მ. ს.—ქობულეთის № 8 საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

24. ფოცხიშვილი ლ. პ.—ქაქუთის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი

25. შიპინა ე. ვ.—ციხისძირის 8 წლიანი სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

26. ლომინაძე მ. ე.—სოხუმის 1-ლი საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

27. უჩანეიშვილი ე. ე.—სოხუმის მე-2 საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

28. ქუთათელაძე მ. გ.—სოხუმის მე-8 საშუალო სკოლის ფრანგული ენის მასწავლებელი.

20. ეტეშიანი თ. ი.—სოხუმის მე-3 საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი.

30. შამბა ე. ვ.—სოხუმის მე-3 საშუალო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი.

31. ღვინჯია კ. ა.—სოხუმის მე-3 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი.

32. მოცომე ა. ლ.—სოხუმის მე-4 საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

33. ნიკიტინი მ. გ.—სოხუმის მე-4 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი.

34. გევორქიანი მ. შ.—სოხუმის მე-4 საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი.

35. კოვალკინა დ. დ.—სოხუმის მე-4 საშუალო სკოლის სახვითი ხელოვნების მასწავლებელი.

36. ლეჟავა ტ. ვ.—სოხუმის მე-5 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

37. კაკადრიძე დ. ვ.—სოხუმის მე-5 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

38. ქორქია ზ. ზ.—სოხუმის მე-5 საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

39. შონია ჟ. ვ.—სოხუმის მე-5 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი.

40. რუსიშვილი მ. დ.—სოხუმის მე-5 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი.

41. კუპრეიშვილი რ. ა—სოხუმის მე-8 საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

42. მაქსიმოვა ლ. ი.—სოხუმის მე-8 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი.

43. ბატოსიანი ტ. მ.—სოხუმის მე-8 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი.

44. კერსელიანი ა. ს.—სოხუმის მე-8 საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლი.

45. ბაშარიანი ა. ა.—სოხუმის მე-9 საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელი.

46. პაშიანი ს. ს.—სოხუმის მე-9 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი.

47. ბჟანია ნ. მ.—სოხუმის მე-10 საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

48. ჩიჩელნიცკაია ტ.—სოხუმის მე-10 საშუალო სკოლის მათეატიკის მასწავლებელი

49. გერემჩენკო ე. ა.—სოხუმის მე-14 საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი.

50. მოსოვა. ვ. ე.—სოხუმის მე-17 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი

51. ნიკოლაიშვილი ა. მ.—სოხუმის მე-17 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი.

52. რეპნიცკაია მ. ვ.—სოხუმის მე-18 საშუალო სკოლის დაწყე ბითი კლასების მასწავლებელი.

53. გურეჯიანი ტ. ლ.—სოხუმის მე-18 საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი.

54. თოფურია ვ. ს.—სოხუმის მე-19 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი:

55. ტეპეტოვი პ. წ.—სოხუმის მე-20 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი.

56. ფარცულია გ. ვ.—სოხუმის მე-20 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი.

57. ბოშევანი ა. ვ.—სოხუმის მე-20 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი.

დ) დაჯილდოვდნენ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელით:

1. მეგრელიშვილი ლ. მ.—ვარიანის საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი.

2. სადალაშვილი ე. ა.—ქვახვრელის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი-გორის რაიონი

3. თარომიშვილი ე. ვ.—ქვახვრელის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი-გორის რაიონი.

4. კარიჭაშვილი ე. გ.—ხიდისთავის სშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი-გორის რაიონი.

5. ყაზიშვილი ა. ვ.—სკრის საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი-გორის რაიონი.

5. გოგიაშვილი ბ.გ.—ბერშეკის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელის-გორის რაიონი

7. ბიძინაშვილი ლ. ს.—ზემო ხიდისთავის რვაწლიანი სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი—გორის რაიონი.

8. გოგიშვილი რ. ი.—მურების საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი—გორის რაიონი

9. ტაბიძე თ. ძ.—ქ. თბილისის პირველი საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

10. რატიანი ნ. ა.—თბილისის პირველი საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

11. მონიავა. ე. გ.—ქ. თბილისის პირველი საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი.

12. გაფრინდაშვილი ლ. ი.—ქ. თბილისის პირველი საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი.

13. ბირიუკოვა ლ. გ.—ქ. თბილისის 41-ე საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

14. გიორგაძე ც. ბ.—ქ. თბილისის 45-ე საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწავლებელი.

15. სიმონია ა. ა.—ქ. თბილისის 53-ე საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი.

16. აბაიშვილი შ. კ.—ქ. თბილისის პირველი საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი.

17. ოვჩარი მ. გ.—ქ. თბილისის 43-ე საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი.

18. ტატიშვილი ვ. ლ.—ქ. თბილისის 47-ე საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.

19. ნარიმანოვი ვ. ბ.—ქ თბილისის 53-ე საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

20. მარაწენიძე ვ. ტ.—თბილისის 46-ე საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი.

21. გაბუნია თ. ვ.—თბილისის პირველი საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი.

22. ტრინდაფილიდი რ. ს.—ქ. თბილისის 41-ე საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.

23. ჩხეიძე ნ. ი.—თბილისის 53-ე საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი.

24, ქართველშვილი მ. ვ.—თბილისის 42-ე საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწავლებელი.

25. ფანცულაია თ. ო.—თბილისის 53-ე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

26. გულაშვილი ქ. ნ.—თბილისის 53-ე საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი.

27. შპაკოვა ი. ი.—თბილისის 43-ე საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი

სიეფანოვი კ. ა.—თბილისის 42-ე საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი.

29. უგულავა ნ. ს.—თბილისის 49-ე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

30. გურჯიძე ც. ა.—ქობულეთის № 8 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი.

31. მამულაშვილი დ. ვ.—ქობულეთის № 8 საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი

32. ცქვიტინიძე თ. კ.—ქობულეთის სატყეო სკოლა-სანატორიუმის აღმზრდელ-მასწავლებელი.

33. გოგიტიძე ნ. ს.—ქაქუთის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი.

34. სიხარულიძე ნ. ე.—სახალვაშოს რვაწლიანი სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი.

35. ქინქლაძე გ. ს.—დაგვას ქართული რვაწლიანი სკოლის ხატვა-ხაზვის მასწავლებელი.

36. მამალაძე თ. ვ.—აჭყვას რუსული რვაწლიანი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

37. ლაის ნ. ვ.—ქ. სოხუმის № 4 საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი.

38. აკშბა ნ. ე.—ქ. სოხუმის № 4 საშუალო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი.

39. პეტროვა კ. მ.—ქ. სოხუმის № 4 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი.

40. ნარმანია ტ. უ.—ქ. სოხუმის № 5 საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი.

41. ხაჯიმუკოვა ტ. ა.—ქ. სოხუმის № 5 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მაწავლებელი.

42. კაჩანოვა ტ. პ.—ქ. სოხუმის № 8 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი.

43. ასლანიანი ფ. მ.—ქ. სოხუმის № 9 საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.

44. ესკუზიანი ს. ო.—ქ. სოხუმის № 9 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებული.

45. კანსუზინა ვ. პ.—ქ. სოხუმის № 9 საშუალო სკოლის სომხური ენის მასწავლებელი.

46. ტარზა ვ. ი.—სოხუმის № 10 საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი.

47. კოვგან დ. ა.—ქ. სოხუმის № 10 საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებელი.

48. ბოროხინ ნ. გ.—ქ. სოხუმის № 12 საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი.

49. კუკავა ა. მ.—ქ. სოხუმის № 12 საშუალო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი.

50. კატოვსკაია ვ. ნ.—სოხუმის № 14 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი.

51. კონდრატენკო ა. ვ.—ქ. სოხუმის № 14 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი.

52. კურატოვა კ. ი.—ქ. სოხუმის № 14 საშუალო სკოლის საოჯახო საქმის მასწავლებელი.

53. ივანოვა ე. ფ.—ქ. სოხუმის № 16 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი.

54 კოტილგა წ. მ.—ქ. სოხუმის № 16 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი.

55. ჯახუა გ. ვ.—ქ. სოხუმის № 16 საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი.

56. გაბელია ლ. ს.—ქ. სოხუმის № 16 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი.

57. დავითაია მ. ვ.—ქ. სოხუმის № 16 საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელი.

58. კვიჴიძე ლ. მ.—ქ. სოხუმის № 16 საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელი.

59. კოტავა გ. მ.—ქ. სოხუმის № 19 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი.

60. უსტაბაშიდი ი. ა.—ქ. სოხუმის № 19 საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.

61. ზამთარაია კ. კ.—ქ. სოხუმის № 19 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი.

62. ივანოვა ლ. ფ.—ქ. სოხუმის № 19 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი.

63. გოგია მ. ა.—ქ. სოხუმის № 2 სკოლა-ინტერნატის დაწყებითი კლასის მასწავლებელი.

64. გოგელაშვილი კ. ი.—ქ. სოხუმის № 2 სკოლა-ინტერნატის დაწყებითი კლასის მასწავლებელი.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1975 წლის 17 ივლისის დადგენილება

მ ი ნ ი ს ტ რ ი **თ. ვ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წლის 23 ივლისის ბრძანება № 547

### გონებრივ და ფიზიკურ განვითარებაში დეფექტების მქონე პირთა სწავლების, შრომითი მოწყობისა და მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ

ვაქვეყნებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 23 მაისის № 335 დადგენილებას-„გონებრივ და ფიზიკურ განვითარებაში დეფექტების მქონე პირთა სწავლების, შრომითი მოწყობისა და მომსახურების გაუმჯობესების შესახებ".

„გონებრივ და ფიზიკურ განვითარებაში დეფექტების მქონე ბავშვთა და მოზარდთა ზოგადი და პროფესიული განათლების, შრომითი მოწყობის, სამედიცინო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სხვა სახის მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნითა და „გონებრივ და ფიზიკურ განვითარებაში დეფექტების მქონე პირთა სწავლების, შრომითი მოწყობისა და მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 17 იანვრის № 50 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ შესაბამის სამინისტროებს, უწყებებს და ორგანიზაციებს საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 17 იანვრის № 50 დადგენილება.

2. საქართველოს სსრ განათლების, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვისა და საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროებმა სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების გეგმაში გონებრივ და ფიზიკურ განვითარებაში დეფექტების მქონე (გონებრივად ჩამორჩენილი, ყრუ და სმენადაქვეითებული, უსინათლო და სუსტადმხედველი, მეტყველებადარღვეული და სხვ.) ბავშვებისა და მოზარდებისათვის გაითვალისწინონ ბავშვთა სახ-

ლებს, ბაგების, საბავშვო სახლების, საბავშვო ბაღების, სკოლა-ინტერნატების, სასწავლებლების, ხალამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი სკოლების, ფსიქონევროლოგიური სანატორიუმების და სახლ-ინტერნატების ქსელის გაფართოება. ამასთან, მხედველობაში იქონიონ ამ დაწესებულებებზე მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, კერძოდ კი საცხოვრებელი სახლების და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის გაფართოება, ხოლო სადაც ეს აუცილებელია-საქართველოს უსინათლოთა საზოგადოებისა და ყრუ-მუნჯთა საზოგადოების საწარმოო შენობათა მშენებლობა ამავე საზოგადოებათა ხარჯზე.

3. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან ერთად, (აუცილებლობის შემთხვევაში-სსრკ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით) განსაზღვრონ ნუსხა სოციალური უზრუნველყოფისა და პროფესიულ-ტექნიკური განათლების ორგანოების სასწავლო დაწესებულებებისა, აგრეთვე სოფლის მეურნეობის და სამრეწველო წარმოებებისა, რომლებსაც დაეკისრებათ გონებრივად ჩამორჩენილ, სმენადაქვეითებულ და მხედველობადქვეითებულ მოზარდთა და მოქალაქეთა პროფესიული მომზადება და 1975 წლის I ივნისამდე თავიანთი წინადადებები წარადგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში.

4. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ:

ა) 1975 წელს მოაწყოს რესპუბლიკური ოტოლარინგოლოგიური განყოფილება არანაკლები 60 საწოლით სმენადაქვეითებულ მოზარდთა და ბავშვთვის ყველა სახის დიაგნოსტიკური და სამკურნალო დახმარების გაწევის მიზნით;

ბ) მოეწყოს და აღიჭურვოს თანამედროვე მოწყობილობით სურდოლოგიური კაბინეტები ქ. სოხუმში, ბათუმსა და ქუთაისში;

გ) ბავშვთა ახალი რესპუბლიკური საავადმყოფოს ექსპლოატაციაში გადაცემისას მოეწყოს იქ სურდოლოგიური და ლოგოპედიური კაბინეტები ბგერაიზოლირებული კაბინეტებით, ტონალური, სამეტყველო და სათამაშო აუდიომეტრიის ოთახებით;

დ) 1976-1980 წლებში, განათლების სამინისტროს განცხადების მიხედვით, გამოიყოს თანამედროვე სამედიცინო აღჭურვილობა სპეციალური სკოლა-ინტერნატებისა და სკოლამდელი დაწესებულებებისათვის.

5. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, საქართველოს პროფსაბჭოსთან ერთად, რესპუბლიკური ოტოლარინგოლოგიური განყოფილების ბაზაზე მოაწყოს მეთოდური ცენტრი სამკურნალო გამაჯანსაღებელი და სმენაპროტეზული ღონისძიებებისა და მედიკო-სოციალური რეაბილიტაციის პრობლემების შესასწავლად.

6. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ:

ა) ქ. თბილისში არსებულ უსინათლო და სუსტადმხედველ ბავშვთა სკოლა-ინტერნატებთან და და საყრდენმამოძრავებელი სისტემით დაავადებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატში, რომელიც მომავალში უნდა გაიხსნას ქ. თბილისში, შექმნას სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი სწავლებისა და აღზრდის ჯგუფები;

ბ) საყოფაცხოვრებო პირობებისა და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ყრუ და მხედველობადაქვეითებულ ბავშვთა რესპუბლიკური ბაგა-ბაღები გადაკეთდეს სანატორიული ტიპის დაწესებულებებად;

გ) უზრუნველყოს სკოლამდელი დაწესებულებანი, სკოლა-ინტერნატები, გონებრივ და ფიზიკურ განვითარებაში დეფექტების მქონე ბავშვთა და მოზარდთა სალამოს სკოლები სასწავლო მოწყობილობებით, ხელსაწყოებით, დიდაქტიკური მასალით, სათამაშოებით, აპარატურითა და სპეციალური დანიშნულების დგამ-ავეჯით;

დ) მიიღოს სათანადო ზომები გონებრივ და ფიზიკურ განვითარებაში დეფექტების მქონე მოსწავლეთათვის სახელმძღვანელოების, დიდაქტიკური და თვალსაჩინო მასალების დროული მომზადებისათვის.

7. მიზანშეწონილად ჩაითვალოს საქართველოს სსრ ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის კვლევით ინსტიტუტში დეფექტოლოგიის სექტორის შექმნა.

ამ მიზნით დაევალოს საქართველოს სსრ განთლების სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს, წარუდგინოს საქართ-

ველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საჭირო მასალები საკითხის საკავშირო ორგანოების წინაშე დაყენებისათვის.

8. მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა გამომცემლობის, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტმა დადგენილ ვადებში უზრუნველყოს გონებრივ და ფიზიკურ განვითარებაში დეფექტების მქონე მოსწავლეთათვის სახელმძღვანელოების, დიდაქტიკურ და თვალსაჩინო მასალათა გამოცემა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს უსინათლო და სუსტადმხედველ მოსწავლეთათვის მასალის მსხვილი შრიფტით ბეჭდვას.

9. სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ:

ა) მოახდინოს გონებრივი და ფიზიკური დეფექტების მქონე ბავშვთა სახლ-ინტერნატების რეორგანიზაცია სანატორიული ტიპის სკოლა-ინტერნატებად;

ბ) გონებრივ და ფიზიკურ განვითარებაში დეფექტების მქონე პირთა ცალ-ცალკე მოთავსების მიზნით, განახორციელოს ღრმადმოხუცებულთა და ინვალიდებისათვის არსებული სახლ-ინტერნატების სპეციალიზაცია;

გ) სკოლა-ინტერნატებთან იმბეცილ ბავშვთათვის შეიქმნას სპეციალური ჯგუფები.

10. გონებრივ და ფიზიკურ განვითარებაში დეფექტების მქონე პირთათვის არსებული საწარმოებისა და დაწესებულებების მოდერნიზაციისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა 1976-1980 წლების გეგმების პროექტებში ამ მიზნით გაითვალისწინოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, საქართველოს ყრუ-მუნჯთა, საქართველოს უსინათლოთა საზოგადოებების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება დაზგებზე, მოწყობილობასა და საავტომობილო ტრანსპორტზე.

საქართველოს სსრ მომარაგების მთავარმა სამმართველომ ზემოხსენებული სამინისტროებისა და უწყებებისათვის უზრუნველყოს გამოყოფილი ფონდის საფუძველზე ნედლეულისა და მასალის რითმული მიწოდება, ამავე დროს მაქსიმალურად დააკმაყოფილოს მათი განაცხადი იმ მასალებსა და მოწყობილობებზე (მთავარმომარაგების სამმართველოს ნომენკლატურით), რაც აუცილებელია სახალხო მეურნეობის გეგმის შესრულებისათვის.

11. აღიძრას საკითხი სსრ კავშირის სახმომარაგების წინაშე 1975 წლისათვის დაზგებისა და მოწყობილობათა გამოყოფის შესახებ საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიურ ბიუროსთან ექსპერიმენტული ბაზის შესაქმნელად, დანართის შესაბამისად.

12. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს, სამინისტროებსა და უწყებებს:

ა) გონებრივ და ფიზიკურ განვითარებაში დეფექტების მქონე ახალგაზრდობისა და მათთვის არსებული სკოლა-ინტერნატების და სხვა სასწავლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა, აგრეთვე სმენითი და მხედველობითი დეფექტების მქონე სხვა მოქალაქეთა შრომითი მოწყობა და მათთვის აუცილებელი საწარმოო, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა;

ბ) გონებრივ და ფიზიკურ განვითარებაში დეფექტების მქონე ბავშვთა სკოლა-ინტერნატების მატერიალურ- ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის ხელის შეწყობა მათზე საშეფო ორგანიზაციების მიმაგრებით.

13. საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმმა და საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმმა:

ა) გაითვალისწინონ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების გეგმებში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ წარმოებულ უსინათლო და სუსტადმხედველ, ყრუ და სმენადაქვეითებულ ბავშვთა და მოზარდთათვის სკოლამდელ დაწესებულებების, სკოლა-ინტერნატებისა და საღამოს სკოლების მშენებლობაში წილობრივი მონაწილეობა;

ბ) უსინათლო და ყრუ ბავშვთა გამოვლენის, მათი აღრიცხვაზე აყვანის, შრომითი მოწყობისა და შესაფერის სასწავლო დაწესებულებებში მოთავსების მიზნით, საქართველოს პროფკავშირის რესპუბლიკურ საბჭოსთან ერთად, მოეწყოს ამ საზოგადოებათა საქალაქო და სარაიონო პირველადი ორგანიზაციები საზოგადოებრივ საწყისებზე.

14. საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმმა:

ა) უზრუნველყოს უსინათლო და მხედველობა დაქვეითებულ ბავშვთა სკოლების მოსწავლეები უფასო სათვალეებით, აგრეთვე მათთვის ამ სათვალეების უფასო დამზადება და რიგგარეშე შეკეთება;

ბ) განახორციელოს უსინათლო და მხედველობადაქვეითებულ პირთათვის არსებულ საწარმოთა შესატყვისი პროფესიების სწავლება, ამასთან, ყურადღება მიაქციოს მათ მიერ შრომითი ჩვევების დროულად დაუფლების საკითხს.

15. ინვალიდების კონტინგენტის დასაქმების გაუმჯობესების მიზნით დაევალოს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების საწარმოებთან კოოპერაციისა და აუცილებელი მატერიალური რესურსების გამოყოფის გზით გაითვალისწინოს 1976 წლიდან შესაფუთ ნაკეთობებზე (ცელოფანის, პოლიეთილენის პარკები, მუყაოს ყუთები და სხვა) საუწყებო დაწესებულებების მოთხოვნათა დაკმაყოფილება. ამავე დროს დაუსაბუთოს სსრკ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ღილების წარმოების გაზრდის აუცილებლობა 2 მილიონი ცალიდან 1975 წელს 3 მილიონ ცალამდე 1980 წელს.

16. საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების პრეზიდიუმმა გაატაროს საჭირო ღონისძიებანი ღილების ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის.

17. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ, თბილისის დიმიტროვის სახელობის ქარხანამ, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელმა ქარხანამ, თბილისის ორჯონიკიძის სახელობისა და 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელმა ქარხნებმა, ლენინის სახელობის თბილისის ელმავალმშენებელმა ქარხანამ, სტალინის სახელობის თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელმა ქარხანამ და ბათუმის გემთმშენებელმა ქარხანამ ყოველმხრივ შეუწყონ ხელი საქართველოს უსინათლოთა და ყრუმუნჯთა საზოგადოებებს ნაკეთობათა წარმოების ორგანიზაციაში აღნიშნულ საზოგადოებათა საწარმოებთან კოოპერირების გზით.

18. დაევალოს საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, რომელთაც წამყვანი როლი ენიჭებათ პროდუქციის ამ სახეობის წარმოებაში, სამხატვრო საბჭოების სხდომებზე განიხილონ და

დაამტკიცონ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსა და საქართველოს უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა საზოგადოებათა პრეზიდიუმების მიერ წარმოდგენილ ნაკეთობათა ნიმუშ-ეტალონები.

19. დაევალოს თბილისის დიმიტროვის სახელობის ქარხანას, ლენინის სახელობის თბილისის ელექტრომავალმშენებელ ქარხანას, კიროვის სახ. თბილისის ჩარხმშენებელ ქარხანას და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება, დაამზადონ მოწყობილობა საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების პრეზიდიუმისა და საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების პრეზიდიუმის საწარმოებისათვის.

20. დაევალოს საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების გამგეობის ცენტრალურ პრეზიდიუმს, საქართველოს რესპუბლიკურ პროფსაბჭოსთან ერთად:

-მიიღოს ზომები საზოგადოების წარმოებებში შრომისა და ტექნიკური უსაფრთხოების დაცვის საქმეში მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

-უზრუნველყოს საჭირო ღონისძიებათა გატარება ცხვარიჭამიაში საქართველოს პროფსაბჭოს მიერ მხედველობადაქვეითებულ და ყრუ ბავშვებისათვის გამოყოფილი გამაჯანსაღებელი კომპლექსის საზაფხულო სეზონისათვის მოსამზადებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს თავმჯდომარე—შ. კიკნაძე

საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს საქმეთა მმართველი—ზ. ახვლედიანი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 23 მაისის № 335 დადგენილებისა და სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1975 წლის 27 იანვრის № 12 ბრძანების განსახორციელებლად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

-გაატარონ საჭირო ღონისძიებები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს აღნიშნული დადგენილებისა და სსრ კავშირის განათ-

ლების სამინისტროს მიმდინარე წლის 27 იანვრის № 12 ბრძანების შესასრულებლად:

-განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების ტერიტორიაზე მდებარე, მათდამი დაქვემდებარებულ სპეციალურ სკოლა-ინტერნატებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემდგომი სრულყოფისა და მათი მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეს;

-გადაჭრით გააუმჯობესონ საქალაქო და რაიონული მედიკო-პედაგოგიური კომისიების მუშაობა, გამოავლინონ და ზუსტად აღრიცხონ მათ ტერიტორიაზე მცხოვრები გონებრივი და ფიზიკური ნაკლის მქონე ბავშვები და მოზარდები, იზრუნონ სწავლებას დაქვემდებარებულ დეფექტურ ბავშვთა საწვლებაში ჩაბმისათვის;

—ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით მიაღწიონ სპეციალური სკოლა-ინტერნატების კურსდამთავრებულთა შრომით საქმიანობაში ჩაბმას მათი უნარისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

II. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. ი. ნიკოლაიშვილი):

განახორციელოს ღონისძიებანი 1975-1980 წლებში გონებრივ და ფიზიკურ განვითარებაში დეფექტების მქონე სწავლებას დაქვემდებარებული ყველა ბავშვისა და მოზარდის სწავლებაში ჩაბმისა და მათ მიერ დადგენილი მოცულობის ფარგლებში განათლების მიღებისათვის;

— მიიღოს ზომები სპეციალურ სკოლა-ინტერნატში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის რადიკალურად გაუმჯობესებისათვის. ამასთან ერთად, იზრუნოს ამ დაწესებულებათა კაბინეტ-ლაბორატორიების საჭირო ხელსაწყო-იარაღებით, დიდაქტიკური მასალებითა და სათამაშოებით, სპეციალური აპარატებითა და დგამ-ავეჯით აღჭურვისათვის;

-განახორციელოს ღონისძიებანი სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში შრომითი სწავლების გაუმჯობესებისა და აღსაზრდელთა პრაქტიკული საქმიანობისათვის მოსამზადებლად, რისთვისაც თითოეულ სპეციალურ სკოლა-ინტერნატს, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, განესაზღვროს პროფილები შრომით მომზადებაში და შერჩეული პროფილების მიხედვით იზრუნოს ამ დაწესებულებათა

შრომითი სახელოსნოების საჭირო ხელსაწყო-იარაღებითა და სასწავლო მოწყობილობებით აღჭურვისათვის;

-სპეციალური სკოლა-ინტერნატების მასწავლებელთა და აღმზრდელთა შემდგომი თეორიული და მეთოდური დახელოვნებისათვის განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში მეთოდური მუშაობის გაუმჯობესებისა და რესპუბლიკურ და საკავშირო მნიშვნელობის საკურსო ღონისძიებებში პედაგოგთა დროულად ჩაბმის საქმეს;

-1976-1980 წლებში, რესპუბლიკაში სპეციალური სკოლა-ინტერნატების ქსელის გაფართოებასთან დაკავშირებით, შეისწავლოს საკითხი ზოგიერთი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატის სპეციალურ სკოლა-ინტერნატად გადაკეთების შესახებ, რაზეც მოახსენოს განათლების სამინისტროს კოლეგიას არაუგვიანეს მიმდინარე წლის 25 დეკემბრისა;

-ქ. ქუთაისის განათლების განყოფილებასთან ერთად საჭირო ღონისძიებები განახორციელოს 1977 წლისათვის ქუთაისის ყრუ ბავშვთა რვაწლიანი სკოლა-ინტერნატის 12 წლიან სკოლა-ინტერნატად გადასაკეთებლად.

III. სკოლამდელი აღზრდის განყოფილებამ (ამხ. გ. აბდუშელიშვილი):

-სათანადო კონტროლი და ხელმძღვანელობა გაუწიოს ყრუ და მხედველობადაქვეითებულ ბავშვთა რესპუბლიკური ბაგა-ბაღების მუშაობას; იზრუნოს ამ დაწესებულებაში მყოფ ბავშვთა სწავლა-აღზრდის, საყოფაცხოვრებო პირობებისა და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის;

-ქმედითი ზომები მიიღოს ამ დაწესებულებების მატერიალური ბაზის განმტკიცებისა და მათი სპეციალური აპარატურითა და დგამ-ავეჯით აღჭურვისათვის.

IV. საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველომ (ამხ. გ. გუჯეჯიანი), უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა რესპუბლიკურ საზოგადოებებთან ერთად, დააზუსტოს სიები 16-29 წლის ასაკის მომუშავე უსინათლო და ყრუ ახალგაზრდებისა, რომლებსაც არა აქვთ რვაწლიანი და საშუალო განათლება და უზრუნველყონ მათი სწავლებაში ჩაბმა.

V. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე):

ეროვნული ბიბლიოთეკა

-იმასთან დაკავშირებით, რომ 1976 წლის 1 სექტემბრიდან ყრუ და სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების მოსამზადებელ და I-V კლასების თითოეულ მოსწავლესთან ნარჩენი სმენისა და მეტყველების განვითარებისათვის მასწავლებელ დეფექტოლოგს ყოველდღიურად 15 წუთი (კვირაში 18 საათამდე) დაეთმობა, ხოლო ყრუ, სმენადაქვეთებულ და მეტყველების დარღვევით დაავადებულ, უსინათლო და სუსტადმხედველ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების მოსამზადებელ და I-V კლასების სააღმზრდელო ჯგუფებში ზღვრული დატვირთვა -12, გონებაჩამორჩენილ ბავშვთა ინტერნატში კი 16 აღსაზრდელით განისაზღვრება, ბიუჯეტში გაითვალისწინოს საჭირო ხარჯები;

-1975-1976 სასწავლო წლიდან ყრუ და სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების, აგრეთვე საღამოს სკოლების საშტატო განრიგში გაითვალისწინოს ხმისგამაძლიერებელი აპარატურის ტექნიკოსის თანამდებობა ნახევარი განაკვეთის ოდენობით მე-3-8 კლასისა და ერთი განაკვეთის ოდენობით მე-9-16 კლასის არსებობისას, ხოლო ასეთი აპარატურით აღჭურვილ სკოლამდელ დაწესებულებებში ნახევარი განაკვეთი-3 ჯგუფის არსებობის დროს.

-1975 წლის 1 სექტემბრიდან გაითვალისწინოს სპეციალური ბაგა-ბაღების და სკოლამდელი დაწესებულებების ლოგოპედ მასწავლებელთა და დეფექტოლოგ მასწავლებელთა ხელფასის ანაზღაურება სკკპ ცკ, სსრ კავშირის პროფსაბჭოს 1972 წლის 13 ივლისის № 522 დადგენილების მე-4 დანართის შესაბამისად, რომელიც მოცემულია სსრ კავშირის განათლების მინისტრის 1972 წლის 21 ივლისის № 85 ბრძანებაში;

—სახალხო განათლების განვითარების 1976-1980 წლების გეგმაში გაითვალისწინოს ფიზიკურ და გონებრივ განვითარებაში დეფექტების მქონე ბავშვთა, მოზარდთა და მოზრდილებისათვის (გონებრივად ჩამორჩენილთა, ყრუ და სმენადაქვეითებულთა, უსინათლო და მხედველობადაქვეითებულთა, და სხვ) ახალი ბაგა-ბაღების, სკოლა-ინტერნატების, საღამოს სკოლების მშენებლობა და არსებულ დაწესებულებათა შენობების გაფართოება-რეკონსტრუქციის სამუშაოები;

—1976-1980 წლებში მიზნობრივად გამოიყოს სახსრები სპეციალური სკოლა-ინტერნატების, საღამოს სკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა სპეციალური აპარატით, ტექნიკური საშუალებებით და დგამ-ავეჯით აღჭურვისათვის;

ბიუჯეტში გაითვალისწინოს საჭირო ასიგნებანი ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დეფექტოლოგიის სექტორის შექმნასთან დაკავშირებით.

VI. კაპიტალური მშენებლობის სამმართველომ (ამხ. ს. უჩანეიშვილი):

—1976- 1980 წლებში უზრუნველყოს გონებრივ და ფიზიკურ განვითარებაში დეფექტების მქონე ბავშვთა ახალი სკოლა-ინტერნატების, საღამოს სკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობა და არსებულ სასწავლო დაწესებულებათა შენობების რეკონსტრუქცია-გაფართოების სამუშაოები თანახმად № 1 დანართისა.

VII. კადრების განყოფილებამ (ამხ. ი. კვაჭაძე):

—სპეციალურ სკოლა-ინტერნატებსა, საღამოს სკოლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში მასწავლებლებად და აღმზრდელებად დანიშნოს უმაღლესი განათლებისა და სათანადო გამოცდილების მქონე ახალგაზრდა პედაგოგები. ამასთან ერთად, ამ პედაგოგთა შემდგომი დახელოვნების მიზნით, იზრუნოს მოკავშირე რესპუბლიკებში არსებული დეფექტოლოგიის ინსტიტუტების დაუსწრებელ განყოფილებებზე მათი ჩაბმისათვის.

VIII. მეთოდიკისა და სახელმძღვანელოების სამმართველომ (ამხ. ლ. მნათობიშვილი):

—სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების რესპუბლიკურ მეთოდურ კაბინეტთან ერთად შეიმუშაოს გეგმა 1976-1980 წლებში სპეციალური სკოლა-ინტერნატებისა და სკოლამდელი დაწესებულებებისათვის სასწავლო სახელმძღვანელოებისა და მეთოდური ლიტერატურის, თვალსაჩინო მასალების გამოცემის შესახებ და უზრუნველყოს დაწესებულ ვადებში მათი გამოცემა.

IX. მომარაგების სამმართველომ (ამხ. გ. კბილაშვილი):

მიიღოს ზომები 1976-1980 წლებში გონებრივ და ფიზიკურ განვითარებაში დეფექტების მქონე ბავშვთა სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო ბაღების საჭირო ხელსაწყო-იარაღებით, აპარატურითა და საერთო და სპეციალური დანიშნულების დგამ-ავეჯით უზრუნველყოფისათვის;

-უზრუნველყოს სკოლა-ინტერნატები, განათლების სამინისტროს მიერ შერჩეული შრომითი სწავლების პროფილების გათვალისწინებით, საჭირო რაოდენობის ქსოვილებით, დახერხილი ხე-ტყით, მუყაოთი, ქაღალდით, თუნუქითა და სხვა სახის ნედლეულით.

X. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილი), სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების რესპუბლიკურ მეთოდურ კაბინეტთან ერთად, განიხილოს საკითხი 1976 წლიდან სპეციალური სკოლა-ინტერნატებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა მასწავლებლებისა და აღმზრდელების კვალიფიკაციის ასამაღლებლად ორწლიანი დასწრებულ-დაუსწრებელი კურსების მოწყობის შესაძლებლობის შესახებ და მოახსენოს განათლების სამინისტროს კოლეგიას მიმდინარე წლის 20 სექტემბრამდე.

XI. აღიძრას შუამდგომლობა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინაშე რათა 1976-1980 წლებში განათლების სამინისტროს ზემოაღნიშნული სპეციალური სკოლა-ინტერნატების, საღამოს სკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობისა და რეკონსტრუქცია-გაფართოების სამუშაოებისათვის მიზნობრივად გამოეყოს კაპდაბანდებანი 4. 220 ათასი მანეთის ოდენობით.

XII. ეთხოვოს უსინათლო და ყრუმუნჯთა რესპუბლიკურ საზოგადოებებს, კაპდაბანდებების გამოყოფით წილობრივი მონაწილეობა მიიღონ სპეციალური სკოლა-ინტერნატებისა და სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობასა და რეკონსტრუქცია-გაფართოებაში.

XIII. ეთხოვოს მშრომელთა დეპუტატების თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისისა და ჭიათურის აღმასკომებს ახალი სკოლა-ინტერნატების, სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობისა და არსებულთა რეკონსტრუქცია-გაფართოების სამუშაოების საჭიროებისათვის გამოყონ მიწის ნაკვეთები.

XIV. აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაეკისროს სახალხო განათლების ინსპექციას (ამხ. ზ. როგავა).

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წლის 17 ივლისის კოლეგიის გადაწყვეტილება.

მინისტრის მოადგილე                    უ. ობოლაძე

დანართი № 1

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის 1975 წლის 23 ივლი-
სის № 547 ბრძანებისა

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ხაზით 1976-1980 წლებში გონებრივ და ფიზიკურ განვითარებაში დეფექტების მქონე ბავშვებისათვის ახალი სკოლა-ინტერნატების, სკოლამდელი დაწესებულებების, სადამოს სკოლების მშენებლობისა და არსებული შენობების რეკონსტრუქცია-გაფართოების ჩატარების**

**შ ე ს ა ხ ე ბ**

| №№ რიგ-ზე | დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | სიმძლავრე | ტექდოკუმენ-ტაციის მომზადების წელი | მშენებლობის დაწყების ვადა |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| | **I ახალი მშენებლობა** | | | |
| 1. | სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატი თბილისში | 270 მ/ადგ. | 1975 წ. | 1976-1977 წ. |
| 2. | მეტყველების მძიმე დარღვე-ვით დაავადებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატი თბილისში | 200 მ/ადგ. | 1977 წ. | 1978-1979 წ. |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| 3. | მოძრავ საყრდენი სისტემით დავადებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატი თბილისში | 370 მ/ადგ. | 1978 წ. | 1979-1980 წ. |
| 4. | მოძრავ საყრდენი სისტემით დავადებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატი სოხუმში | 150 მ/ადგ. | 1979 წ. | 1980 წ. |
| 5. | გონებაჩამორჩენილ ბავშვთა სკოლა-ინტერნატი გუდაუთის რაიონის სოფ. ლიხნში | 290 მ/ადგ. | 1975 წ. | 1976-1977 წ. |
| 6. | გონებაჩამორჩენილ ბავშვთა სკოლა-ინტერნატი ჭიათურაში (ბუნიკაური) | 200 მ/ადგ. | 1977 წ. | 1978 წ. |
| 7. | გონებაჩამორჩენილ ბავშვთა ბაგა-ბაღი თბილისში | 100 მ/ადგ. | 1976 წ. | 1977 წ. |
| 8. | გონებაჩამორჩენილ ბავშვთა ბაგა-ბაღი სოხუმში | 50 მ/ადგ. | 1976 წ. | 1977 წ. |



ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| 9. | გონებაჩამორჩენილ ბავშვთა ბაგა-ბაღი ბათუმში | 50 ბ/ადგ. | 1977 წ. | 1978 წ. |
| 10. | ყრუ მოქალაქეთა საღამოს სკოლა | 150 ბ/ადგ. | 1977 წ. | 1978 წ. |
| | **11 არსებული შენობების რეკონსტრუქცია-გაფართოება** | | | |
| 1. | ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატი ქუთაისში | 60 ბ/ადგ. | 1976 წ. | 1977 წ. |
| 2. | № 1 გონებაჩამორჩენილ ბავშვთა სკოლა-ინტერნატი თბილისში | სპორტული დარბაზი, სახელოსნოები, სათბური | 1976 წ. | 1977 წ. |
| 3. | № 2 გონებაჩამორჩენილ ბავშვთა სკოლა-ინტერნატი თბილისში | 250 მ/ადგ. | 1975 წ. | 1976 წ. |
| 4. | უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატი თბილისში | სასადილო 100 ადგ-ზე | 1979 წ. | 1980 წ. |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| 5. | მხედველობადაქვეითებულ ბავშვთა ბაგა-ბაღი თბილისში | 90 ბ/ადგ-ზე | 1975 წ. | 1976 წ. |
| 6. | ყრუ ბავშვთა ბაგა-ბაღი თბილისში | 50 ბ/ადგ. | 1975 წ. | 1976 წ. |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დანართი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 23 მაისის № 335 დადგენილებაზე

## ნუსხა

საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიურ ბიუროსთან ექსპერიმენტული ბაზის ორგანიზაციისათვის საჭირო მოწყობილობებისა

| | |
|---|---|
| ლითონსაჭრელი ჩარხები— სულ | 61 ცალი |
| მათ შორის: | |
| სახარატო ცენტრული | 9 |
| ამათგან: | |
| დასამუშავებელი ნაკეთობის 250-320 მმ დიამეტრით | 3 |
| დასამუშავებელი ნაკეთობის 400-650 მმ დიამეტრით | 6 |
| საბურღი ჩარხები | 19 |
| მათ შორის: | |
| რადიალური საბურღი | 8 |
| ვერტიკალური საბურღი | 9 |
| მაგიდის საბურღი | 4 |
| სალარავი ჩარხები | 10 |
| მათ შორის: | |
| ვერტიკალურად სალარავი | 9 |
| უნივერსალურ-სალარავი | 9 |
| ჩარხები— | 3 |
| ჩარხები განივ სარანდავი | 3 |
| ჩარხები ამოსაჭერი | 6 |
| სახეხი ჩარხები | 6 |
| მათ შორის: | |
| ბრტყელადმხერხავი | 3 |
| წრიულად მხერხავი | 3 |
| ჩარხები სატყავებელ-სახეხი და სახეხ-საპრიალებელი | 3 |

| | |
|---|---|
| ჩარხები საჭრელი /დანიანი/ | 3 |
| ელექტროშემადუღებელი მოწყობილობა „ტს 500ე“ | 3 |

საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წლის 24 ივლისის ბრძანება № 548

### სსრ კავშირის დიდ სამამულო ომში გამარჯვების 30 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა მეოთხე რესპუბლიკური სპარტაკიადის შედეგების შესახებ

სსრ კავშირის დიდ სამამულო ომში გამარჯვების 30 წლისთავისადმი მიძღვნილმა სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა მეოთხე რესპუბლიკურმა სპარტაკიადამ გვიჩვენა, რომ სკოლა-ინტერნატებში ფიზიკური კულტურისა და სპორტული მუშაობის გაუმჯობესების საქმეში გარკვეული წარმატებებია მოპოვებული.

სკოლა-ინტერნატების დირექტორებისა და პედაგოგიური კოლექტივების ნაწილი დიდი ყურადღებით და მონდომებით ეკიდება მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და კლასგარეშე სპორტული მუშაობის დონის ამაღლებას.

სპარტაკიადა ჩატარდა ორ ჯგუფად სპორტის 8 სახეობაში, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის 49 სკოლა-ინტერნატის 2857 მოსწავლემ, 1133 გოგონამ და 1663 ჭაბუკმა.

პირველ ჯგუფში შედიოდა საშუალო, ხოლო მეორე ჯგუფში რვაწლიანი სკოლა-ინტერნატების ფიზკულტურული კოლექტივები.

სკოლა-ინტერნატების მეოთხე რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე პირველი ჯგუფის კოლექტივებს შორის საერთო ჩათვლაში პირველ ადგილზე გამოვიდა ქ. სოხუმის II საშუალო სკოლა-ინტერნატის მოსწავლეთა კოლექტივი (დირექტორი ლ. ანჩაბაძე, ფიზკულტურის მასწავლებელი გ. ხოჭოლავა).

მეორე ადგილზე-ყვარლის საშუალო სკოლა-ინტერნატის მოსწავლეთა კოლექტივი (დირექტორი ე. ლოლიაშვილი, ფიზკულტურის მასწავლებელი გ. ყანდაურაშვილი).

მესამე ადგილზე — ქ. რუსთავის საშუალო სკოლა-ინტერნატის მოსწავლეთა კოლექტივი (დირექტორი გ. ჭაჭიაშვილი, ფიზკულტურის მასწავლებელი გ. კაციაშვილი).

მეოთხე ჯგუფის კოლექტივებს შორის საერთო პირველი ადგილი დაიკავა მახარაძის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატის მოსწავლეთა კოლექტივმა (დირექტორი დ. პატარავა, ფიზკულტურის მასწავლებელი ო. სიხარულიძე).

მეორე ადგილი დაიკავა ქ. ქუთაისის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატის მოსწავლეთა კოლექტივმა (დირექტორი ი. მაღლაფერიძე, ფიზკულტურის მასწავლებელი გ. ონიანი).

მესამე ადგილი დაიკავა თეთრიწყაროს რვაწლიანი სკოლა-ინტერნატის მოსწავლეთა კოლექტივმა (დირექტორი ა. დალაქიშვილი, ფიზკულტურის მასწავლებელი ა. ფილიევი).

სპორტის ცალკეულ სახეებში გუნდური პირველი ადგილები დაიკავეს:

### პირველ რიგში (საშუალო სკოლა-ინტერნატთა):

ხელბურთში — ჭაბუკთა შორის ქ. თბილისის კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის საშუალო სკოლა-ინტერნატის გუნდმა (დირექტორი ვ. მელაძე, მწვრთნელი ე. კილასონია).

გოგონათა შორის-ყვარლის საშუალო სკოლა-ინტერნატის გუნდმა (დირექტორი ე. ლოლიაშვილი, მწვრთნელი გ. ყანდაურაშვილი).

მძლეოსნობაში — ბროწეულას (წყალტუბოს რაიონი) საშუალო სკოლა-ინტერნატის გუნდმა (დირექტორი მ. ინასარიძე, მწვრთნელი ჟ. ფხაკაძე).

სპორტულ ტანვარჯიშში — ქ. სოხუმის № 1 საშუალო სკოლა-ინტერნატის გუნდმა (დირექტორი ლ. ანჩაბაძე, მწვრთნელი ქოიავა).

ჭადრაკში — ქ. თბილისის კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის საშუალო სკოლა-ინტერნატის გუნდმა (დირექტორი ვ. მელაძე, მწვრთნელი ა. ლაცაბიძე).

ფეხბურთში — ფოთის საშუალო სკოლა-ინტერნატების გუნდმა (დირექტორი დარჩია).

ფრენბურთში — ჭაბუკთა შორის კირნათის საშუალო სკოლა-ინტერნატის გუნდმა (დირექტორი მ. ლორთქიფანიძე, მწვრთნელი კახაბრიშვილი).

გოგონებში — თიანეთის საშუალო სკოლა-ინტერნატის გუნდმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დირექტორი ე. მგელიაშვილი, მწვრთნელი რ. მექვაბიშვილი).

კალათბურთში — ჭაბუკთა შორის წულუკიძის საშუალო სკოლა-ინტერნატის გუნდმა (დირექტორი აკ. ძიძავა, მწვრთნელი ო. წივწივაძე).

გოგონებში — ქ. რუსთავის საშუალო სკოლა-ინტერნატის გუნდმა (დირექტორი გ. ჭაჭიაშვილი. მწვრთნელი გ. კაციაშვილი).

მეორე ჯგუფში (რვაწლიანი სკოლა-ინტერნატები):

მძლეოსნობაში — წითელიწყაროს რვაწლიანი სკოლა-ინტერნატის გუნდმა (დირექტორი ნ. ალადაშვილი, მწვრთნელი ფ. ბალაშვილი).

სპორტულ ტანვარჯიშში — ქ. ქუთაისის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატის გუნდმა (დირექტორი ი. მაღლაფერიძე, მწვრთნელი გ. ონიანი).

ჭადრაკში — ჩხოროწყუს რვაწლიანი სკოლა-ინტერნატის გუნდმა (დირექტორი ა. შენგელაია, მწვრთნელი კ. ესართია).

ფეხბურთში — საგურამოს (მცხეთის რაიონი) რვაწლიანი სკოლა-ინტერნატის გუნდმა (დირექტორი ფ. ბოლქვაძე, მწვრთნელი მ. ბუზიაშვილი).

ფრენბურთში — ჭაბუკებში თეთრიწყაროს რვაწლიანი სკოლა-ინტერნატის გუნდმა (დირექტორი ა. დალაქიშვილი, მწვრთნელი ა. ფილიევი).

გოგონებში — ლაგოდეხის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატის გუნდმა (დირექტორი კობაძე, მწვრთნელი ლ. ბანდური).

კალათბურთში—ჭაბუკებში საგურამოს (მცხეთის რაიონი) რვაწლიანი სკოლა-ინტერნატის გუნდმა (დირექტორი ბოლქვაძე, მწვრთნელი მ. ბუზიაშვილი).

გოგონებში — ბოდბეს (სიღნაღის რაიონი) რვაწლიანი სკოლა-ინტერნატის გუნდმა (დირექტორი მ. ბაინდურაშვილი, მწვრთნელი ს. აკოფოვი).

მაგიდის ჩოგბურთში — განთიადის № (2 გაგრის რაიონი,) რვაწლიანი სკოლა-ინტერნატის გუნდმა (დირექტორი ნორაკიძე) მწვრთნელი მ. კოვალიოვა).

სპარტაკიადის ნორმალურად ჩატარებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს წულუკიძის, რუსთავის, ხაშურისა და გლდანის № 2 სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა აკ. ძიძავამ, გ. ჭაჭიაშვილმა, აკ. კაკაბაძემ, აკ. წერეთელმა, რომლებმაც სათანადოდ მოაწყვეს

მოედნები; მონაწილეები უზრუნველყვეს კვებით, ბინით, კულტურული მომსახურეობით და სხვა.

სკოლა-ინტერნატების მეოთხე რესპუბლიკურმა სპარტაკიადამ გვიჩვენა, რომ კალათბურთში, ფრენბურთში, ჭადრაკსა და ნაწილობრივ მძლეოსნობაშიც ამაღლდა სპორტული მაჩვენებლები.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სკოლა-ინტერნატებში, სპარტაკიადისათვის მომზადებისა და მსვლელობის პერიოდში, ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის საქმეში გამოვლინდა რიგი ნაკლოვანებებისა:

სპარტაკიადაზე მეტად დაბალი იყო სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა სპორტული მაჩვენებლები სპორტულ ტანვარჯიშში, მიუხედავად იმისა, რომ სპარტაკიადაზე სპორტული ტანვარჯიში სავალდებულო სახედ ითვლებიდა. ბევრმა სკოლა-ინტერნატმა ვერ გამოიყვანა გუნდი, რამაც, საერთოდ, უარყოფითად იმოქმედა გუნდური პირველობის განსაზღვრაზე.

მთელმა რიგმა სკოლა-ინტერნატებმა, მიუხედავად წინასწარ გამოგზავნილი განცხადებისა, არასაპატიო მიზეზების გამო მონაწილეობა არ მიიღეს ასპარეზობაში, რამაც დამატებითი სიძნელეები შეუქმნა სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტს ფინალური შეჯიბრების ორგანიზებულად ჩატარების საქმეში.

ბევრ სკოლა-ინტერნატში ჯერ კიდევ ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების მაღალ დონეზე წარმართვას, სპორტულ სექციებში მუშაობის გაშლას, ბაზების კეთილმოწყობას, რის გამოც შეჯიბრებაზე ხშირად მოუმზადებელი გუნდები გამოყავთ. მაგალითად, სპარტაკიადის მსვლელობაში ადგილი ჰქონდა დებულების დარღვევის ფაქტებს: ქართულ ჭიდაობაში შეჯიბრების დროს ასაკგადაცილებული მოსწავლეები გამოიყვანეს რუსთავისა და მესტიის სკოლა-ინტერნატებმა (დირექტორები გ. ჭაჭიაშვილი და ჯ. ფილფანი, მწვრთნელები გ. კაციაშვილი და რ. ჯაფარიძე), ფეხბურთში თიანეთის საშუალო სკოლის რამოდენიმე მოსწავლე გამოიყვანა თიანეთის საშუალო სკოლა-ინტერნატმა (დირექტორი ე. მგელიაშვილი, მწვრთნელი უ. ბადურაშვილი).

მოუმზადებელი გუნდები გამოიყვანეს გეგეჭკორის, ახალქალაქის, კაჭრეთის, ახალსოფლის, ჩხოროწყუს, ბოგდანოვკის, მახუნცეთის, ფოთისა და ზუგდიდის სკოლა-ინტერნატებმა.

სპარტაკიადაში საერთოდ არ მიიღეს მონაწილეობა — ხობის, განთიადის № 1, აფენის, ბარისახოს, მარნეულის, კალდახვარას, ბაბუშერას, ლენინგორის, მატანის, ინგირის სკოლა-ინტერნატებმა.

ზოგიერთ სკოლა-ინტერნატში ადგილი აქვს ფიზკულტურისა და სპორტისათვის გამოყოფილ საშტატო ერთეულის არადანიშნულებისამებრ გამოყენებას. საშტატო ერთეულები დანაწილებულია სხვადასხვა ორგანიზაციებზე, რაც ხელს უშლის მუშაობის ნორმალურად წარმართვას და მასზე კონტროლის დაწესებას.

სკოლა-ინტერნატებში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის, არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მთავარ მსაჯთა კოლეგიის მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა მეოთხე რესპუბლიკური სპარტაკიადის შედეგები დამტკიცდეს (დანართი № I ერთვის).

2. სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა მეოთხე რესპუბლიკური სპარტაკიადის საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებული სკოლა-ინტერნატების სპორტული კოლექტივები დაჯილდოვდნენ გარდამავალი თასითა და შესაბამისი ხარისხის დიპლომებით:

ა) პირველი ადგილის დაკავებისათვის —სოხუმის № 1 სკოლა ინტერნატის სპორტული კოლექტივი;

ბ) მეორე ადგილისათვის — ყვარლის სკოლა-ინტერნატის სპორტული კოლექტივი;

გ) მესამე ადგილისათვის — რუსთავის სკოლა-ინტერნატის სპორტული კოლექტივი.

**მეორე ჯგუფში** (რვაწლიანი სკოლა-ინტერნატები);

ა) პირველი ადგილის დაკავებისათვის — მახარაძის სკოლა-ინტერნატის სპორტული კოლექტივი;

ბ) მეორე ადგილისათვის — ქუთაისის სკოლა-ინტერნატის სპორტული კოლექტივი;

გ) მესამე ადგილისათვის — თეთრიწყაროს სკოლა-ინტერნატის სპორტული კოლექტივი.

3. რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე განიხილონ მეოთხე რესპუბლიკურ სპარტაკიადაში მათი სპორტული კოლექტივების მონაწილეობის შედეგები და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

4. № 1 — № 2 რესპუბლიკური ზოგადსაგანმანათლებლო პროფილის სკოლა-ინტერნატებმა (დირექტორები ამხ. უ. თეთრაშვილი და ა. წერეთელი) უზრუნველყონ სკოლა-ინტერნატების მეოთხე რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე გამარჯვებულ პერსპექტიულ სპორტსმენთა დასახელებულ სკოლა-ინტერნატებში გადმოყვანა და ჩარიცხვა.

5. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. თ. ნიკოლაიშვილი), საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. ქვაჭაძე) და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებამ (ამხ. რ. აიწურაძე) შეისწავლონ სკოლა-ინტერნატებში სპორტული ჯგუფების საშტატო ერთეულების განაწილების მდგომარეობა და წამოაყენონ წინადადება მათი უფრო მიზანშეწონილად განაწილების შესახებ.

6. სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა მეოთხე რესპუბლიკურ სპარტაკიადაში აქტიური მონაწილეობისა და მისი ორგანიზებულად ჩატარებისათვის მადლობა გამოეცხადოთ მუშაკებს თანდართული სიის მიხედვით (დანართი № 2).

7. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებამ (ამხ. რ. აიწურაძე) შეამოწმოს განთიადის № 1, ატენის, ბარისახოს, მარნეულის, კალდახვარას, ბაბუშერას, ლენინგორის, მატანისა და ინგირის სკოლა-ინტერნატებში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მდგომარეობა, დაადგინოს სპარტაკიადაში მათი მონაწილეობის მიუღებლობის მიზეზები და მიღებული ზომების შესახებ მოახსენოს კოლეგიას 1975 წლის 25 დეკემბრამდე.

8. მკაცრად იქნენ გაფრთხილებული სკოლა-ინტერნატების დირექტორები, რათა გუნდების დაკომპლექტების დროს არ დაუშვან სპარტაკიადის დებულების უხეში დარღვევის შემთხვევები, საჭირო კონტროლი დააწესონ გუნდების დაკომპლექტებასა და შეჯიბრებაზე მივლინებაზე.

9. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ მესტიისა და რუსთავის სკოლა-ინტერნატების დირექტორებს ჯ. ფილფანსა და გ. ჭაჭიაშვილს, ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებს რ. ჯაფარიძესა და გ. კაციაშვილს, ქართული ჭიდაობის უფროს მსაჯს ი. ტერენაშვილს შეჯიბრებაზე გადაზრდილი მოსწავლეების გამოყვანისა და დაშვებისათვის დაედოთ სათანადო ადმინისტრაციული სასჯელი.

10. თიანეთის განათლების განყოფილებამ (ამხ. დ. გონჯილაშვილი) სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე განიხილოს თიანეთის სკოლა-

ინტერნატის დირექტორის ე. მგელიაშვილისა და ფიზკულტურის მასწავლებელ ა. ბადურაშვილის საკითხი, რომლებმაც სპარტაკიადის დებულების უხეში დარღვევით სკოლა-ინტერნატის ფეხბურთელთა გუნდში შეიყვანეს თიანეთის საშუალო სკოლის 3 მოსწავლე. სიყალბიდ ჩადენისათვის დაადოს მათ სათანადო ადმინისტრაციული სასჯელი და მიღებული ზომების შესახებ აცნობოს განათლების სამინისტროს მიმდინარე წლის 10 სექტემბრამდე.

11. სპარტაკიადის დებულების შესაბამისად, გამარჯვებული კოლექტივებისა და გუნდების თასებით დაჯილდოვება დაევალოს ბავშვთა და მოზარდთა უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკურ სკოლას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1975 წლის 9 ივლისის დადგენილება,

მინისტრის
მოადგილე — უ. ობოლაძე

დანართი № 2

# გამოეცხადოთ მადლობა

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა მეოთხე რესპუბლიკურ სპარტაკიადაში წარმატებით მონაწილეობისათვის:

ა) სკოლა-ინტერნატის დირექტორებს:

1. ანჩაბაძეს (სოხუმის №1)
2. ე. ლოლიაშვილს (ყვარლის)
3. დ. პატარავას (მახარაძის)
4. ი. მაღლაფერიძეს (ქუთაისის)
5. ა. დალაქიშვილს (თეთრიწყაროს)

ბ) სკოლა-ინტერნატის მწვრთნელ-მასწავლებლებს:

1. ჭილაიას (სოხუმის № 1)
2. გ. ყანდარაშვილს (ყვარლის)
3. ო .სიხარულიძეს (მახარაძის)
4. ა. ფილოევს (თეთრიწყაროს).

II. ფინალური შეჯიბრების მონაწილეთა ორგანიზებულად მიღება-გამგზავრე ისა და საუკეთესო მომსახურებისათვის:

1. აკ. კინავას (წულუკიძის)
2. ა. კაკაბაძეს (ბათუმის № 1)
3. აკ. წერეთელს (გლდანის № 2)

-III. სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრების წარმატებით ჩატარებისათვის განათლე ის სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს უფროსის მ ადგილეს ა. ბერიშვილს, ბავშვთა და მოზარდთა უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სკოლის დირექტ ორს რ. შავლაყაძეს, მთავარ მსაჯს ა. ს. მანჯგალაძეს, სკოლის თანამშრომლებს: ა. ცაგარეიშვილს, ნ. კობახიძეს, ა. სუხიაშვილს.

-IV. სპორტის სახეე ის მიხედვით-უფროს-მსაჯებს: ფეხბურთში-იდიაშვილს, სპორტ. ტანვარჯიშში-იგითხანაშვილს, კალათბურთში-გ ჯაფარიძეს, ჭადრაკში-ქერდიანიძეს, მძლეოსნობაში-ვ. ხაბანაშვილს.

## სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა შეოთხე რესპუბლიკური სპარტაკიადის ტექნიკური შედეგები I-ჯგუფი 1974/75 სასწ. წელი

| №№ | სკოლა-ინტერნატის დასახელება | მძლეოსნობა | სპ. ტანვარჯ. | ჭადრაკი | ფეხბურთი | კალათბურთი გოგონ. | კალათბურთი ვაჟებ. | ფრენბურთი გოგონ. | ფრენბურთი ვაჟებ. | ხელბურთი გოგონ. | ხელბურთი ვაჟებ. | საჯარიმო ქულათა საერთო რაოდენობა | საერთო ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 |
| 1. | სოხუმის № 1 | 2 | 1 | 12 | — | 4 | 12 | 3 | 12 | 4 | 5 | 11 | 1 |
| 2. | ყვარლის | 7 | 7 | — | 20 | 12 | 26 | 3 | 4 | 1 | 12 | 13 | 2 |
| 3. | რუსთავის | 14 | 3 | — | 3 | 1 | 12 | 12 | 2 | — | — | 20 | 3 |
| 4. | ახალციხის № 1 | 11 | 6 | 2 | 25 | 12 | 3 | 2 | 16 | 2 | 3 | 21 | 4 |
| 5. | ახმეტის | 4 | 8 | — | 12 | 8 | 12 | — | — | 6 | 6 | 24 | 5 |
| 6. | ცხაკაიას | 13 | 4 | 7 | 3 | 12 | 12 | 16 | 16 | — | — | 27 | 6 |
| 7. | ზუგდიდის | 3 | 26 | 4 | 2 | — | — | — | — | — | — | 35 | 7 |
| 8. | ბროწეულას | 1 | 26 | 9 | 20 | 5 | 4 | 6 | 7 | — | — | 36 | 8 |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9. | კასპის | 15 | 5 | 10 | — | 12 | 12 | 16 | 16 | — | — | 42 | 9 |
| 10. | დუშეთის | 6 | 26 | 6 | 20 | 6 | — | — | — | — | — | 44 | 10 |
| 11. | ჯავის | 5 | 26 | — | — | 2 | 12 | 12 | — | — | — | 45 | 11 |
| 12. | ქუთაისის | 8 | 26 | 8 | 5 | — | — | — | — | — | — | 47 | 12 |
| 13. | ლენტეხის | 16 | 26 | — | — | — | 20 | 4 | 3 | — | 12 | 49 | 13 |
| 14. | დრანდის | 9 | 26 | — | 20 | 12 | 6 | 12 | 8 | — | — | 49 | 14 |
| 15. | წულუკიძის | 20 | 26 | 11 | 20 | 3 | 1 | 12 | 12 | 3 | 4 | 50 | 15 |
| 16. | ბათუმის № 2 | 12 | 26 | 5 | 6 | 16 | 7 | — | 12 | — | — | 49 | 16 |
| 17. | თბილისის მათემატიკ. | 26 | 26 | 1 | — | — | 2 | — | — | — | 1 | 54 | 17 |
| 18. | კირნათის | 26 | 26 | — | 29 | 8 | 20 | — | — | — | 2 | 35 | 18 |
| 19. | ცხინვალის | 18 | 26 | 3 | — | 12 | 8 | 16 | — | — | — | 55 | 19 |
| 20. | გურჯაანის | 22 | 26 | — | 4 | — | — | — | — | — | — | 57 | 20 |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21. | ბათუმის № 1 | 19 | 2 | — | 12 | — | — | — | — | — | — | 59 | 21 |
| 22. | თბილისის მუსიკალური | 25 | 26 | 13 | 12 | — | 20 | 5 | 6 | — | 12 | 62 | 22 |
| 23. | სოხუმის № 2 | 10 | 26 | — | 12 | 16 | 29 | 16 | 16 | — | — | 64 | 23 |
| 24. | თიანეთის | 17 | 26 | — | 20 | — | 20 | 1 | 5 | — | — | 64 | 25 |
| 25. | კოჯრის | 26 | 26 | — | 20 | 12 | 12 | — | 12 | — | 8 | 72 | 25 |
| 26. | კიცხის | 23 | 26 | — | 12 | 12 | 12 | — | — | — | — | 73 | 26 |
| 27. | ჩაისუბნის | 26 | 26 | — | 12 | — | 12 | — | 12 | — | — | 76 | 27 |
| 28. | ახალციხის № 2 | 26 | 26 | — | 12 | 16 | 20 | 16 | 12 | — | — | 76 | 28 |
| 29. | ფოთის | 26 | 26 | — | — | — | — | — | — | — | — | 79 | 29 |
| 30. | მახუნცეთის | 26 | 26 | — | — | — | 20 | — | 16 | — | 12 | 80 | 30 |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 31. | ახალქალაქის | 21 | 26 | — | — | 16 | 20 | — | — | — | — | 83 | 31 |
| 32. | გეგეჭკორის | 24 | 26 | 9 | — | — | — | — | — | — | — | 85 | 32 |
| 33. | კაჭრეთის | 26 | 26 | — | — | — | — | — | 12 | — | — | 90 | 33 |
| 34 | ახალსოფლის | 26 | 26 | — | 20 | — | 20 | — | — | — | — | 92 | 34 |

### სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა მეოთხე რესპუბლიკური სპარტაკიადის ტექნიკური შედეგები
### 11-ჯგუფი 1974-75 სასწ. წელი

| №№ | სკოლა-ინტერნატის დასახელება | მძლეოსნობა | სპ. ტანვარ. | ჭადრაკი | ფეხბურთი | კალათბურთი |  | ფრენბურთი |  | მაგ. ჩოგბურთი | საჯარიმო ქულათა რაოდენობა | საერთო ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
|  |  |  |  |  |  | გოგონ. | ვაჟებ. | გოგონ. | ვაჟებ. |  |  |  |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
| 1. | მახარაძის | 2 | 2 | 2 | 2 | — | 7 | — | 5 | 4. | 8 | 1 |
| 2. | ქუთაისის | 3 | 1 | 3 | 4 | — | 3 | — | 4 | 2 | 9 | 2 |
| 3. | თეთრი წყაროს | 4 | 4 | 4 | 12 | 2 | 12 | 3 | 1 | 5 | 11 | 3 |
| 4. | საგურამოს | 12 | 3 | — | 1 | 6 | 1 | 5 | 8 | — | 17 | 4 |
| 5. | ბოდბის | 6 | 5 | — | 12 | 3 | 6 | — | — | — | 17 | 5 |
| 6. | წითელწყაროს | 1 | 12 | — | 6 | 5 | 6 | — | 8 | — | 23 | 6 |
| 7. | თბილისის | 7 | 12 | — | 6 | 5 | 4 | — | 2 | — | 25 | 7 |
| 8. | ლაჯანაურის | 5 | 12 | — | — | — | 12 | 2 | 8 | — | 27 | 8 |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9. | განთიადის № 2 | 12 | 12 | 5 | 6 | 3 | 8 | — | 6 | — | 28 | 9 |
| 10. | ლაგოდეხის | 12 | 12 | 6 | 4 | 6 | 12 | 1 | 3 | — | 28 | 10 |
| 11. | ლანჩხუთის | 12 | 12 | — | — | — | 2 | — | — | 3 | 29 | 11 |
| 12. | ზუგდიდის | 8 | 12 | — | 6 | — | — | — | 8 | — | 34 | 12 |
| 13. | ჩხოროწყუს | 12 | 12 | 1 | 12 | — | 12 | — | — | — | 37 | 13 |
| 14. | ბოგდანოვკის | 12 | 12 | — | — | 12 | 12 | | | — | 48 | 14 |

# შ ი ნ ა ა რ ს ი


1. ბრძანება № 460—1974 წელს სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის შედეგებისა და 1975 წელს გასაწვევი ასაკის მოქალაქეთა გაწვევის ჩატარების შესახებ . . . . . . . . . . . . 3
2. ბრძანება № 471—სოფლის სკოლის მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 ივლისის № 471 დადგენილების შესასრულებლად ლაგოდეხის რაიონში გაწეული მუშაობის შესახებ 7
3. ბრძანება № 498—იმ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სიის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც უფროსკლასელ მოსწავლეთაგან უნდა მომზადდნენ ავტომძღოლები . . . . . . 12
4 ბრძანება № 503—1975 წლის ზაფხულის პერიოდში მუშებისა და მოსამსახურეების შვილების დასვენების ორგანიზაციის შესახებ . . . . . . . . 14
5. ბრძანება № 513—საბჭოთა კავშირის გმირის, გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძის სახ. რესპუბლიკურ საშუალო სკოლა-ინტერნატში მოსწავლეთა მიღების შესახებ . . . . . . . . . . 45
6. ბრძანება № 515— ფიზიკის სწავლების მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1974 წლის 20 დეკემბრის № 36 გადაწყვეტილებისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს იმავე წლის 12 თებერვლის № 108 ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ . . 47
7: ბრძანება № 525—მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა აღრიცხვის, დანიშვნის, გადაყვანისა და განთავისუფლების მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ ქ. რუსთავის, ქ. თბილისის პირველი მაისის, თელავის, გურჯაანის, ახმეტისა და წითელწყაროს რაიონების განათლების განყოფილებებში . . . . . . . . . . . 57
8. ბრძანება № 542— ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა ნაწილობრივი ატესტაციის ჩატარების შედეგების შესახებ . . 63
9. ბრძანება № 547— გონებრივ და ფიზიკურ განვითარებაში დეფექტების მქონე პირთა სწავლების, შრომითი მოწყობისა და მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ . . . . . . . . . . 74
10. ბრძანება № 548—სსრ კავშირის დიდ სამამულო ომში გამარჯვების 30 წლისთავისადმი მიძღვნილ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა მეოთხე რესპუბლიკური სპარტაკიადის შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . 92

მ 3 1/21

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. ქურციკიძე
ტექ. რედაქტორი ეკ. ნეშუმაშვილი

**ფასი 10 კაპ.**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/XI-75 წ. ანაწყობის ზომა 6X9,5,
ქაღალდის ზომა 60X84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 7,25.

შეკვ. № 1030 უე.04944 ტირაჟი 5.000

---

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის
ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სტამბა № 11.
უშ. ჩხეიძის ქ. № 19

Типография № 11, Государственного комитета по делам издательств,
полиграфии и книжной торговли Совета Министров Грузинской ССР,
ул. Уш. Чхеидзе № 19